კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირალდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

— ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია [illegible] მოიყვანა მშრომელ ქალთა მდგომარეობა [illegible].

— საფრანგეთის საქალაქო არჩევნებში [illegible] გაიმარჯვეს.

— ფინეთის გაზეთები აღიარებენ, რომ წითელი ფლოტი შესამჩნევად გაძლიერდა.

— მაროკკოში საფრანგეთის ჯარები წინ მიიწევენ.

ხუთშაბათი, 7 მაისი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 102 (1257)

პროფმუშაობის გაძლიერებისათვის

(ქვედა საკავშირო ორგანოების ხელახალი არჩევნების გამო)

ამას წინად გამოქვეყნებული იყო პროფსაბჭოს დებულება საფაბრიკო-ქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების შესახებ. აგრეთვე გამოიცა ცირკულიარი-ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ამ საკავშირო ქვედა ორგანოების ხელახალი არჩევნები.

ამჟამად უკვე მიმდინარეობს თვით საარჩევნო კამპანია.

ამ კამპანიას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირების ცხოვრებაში, მიტომ რომ ქვედა საკავშირო ორგანიზაციების მდგომარეობაზე, მათი ხელმძღვანელ ორგანოების შემადგენლობასა და მუშაობაზეა მეტ წილად დამოკიდებული პროფკავშირების წინაშე მდგარ ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

რას უნდა მიექცეს ამ არჩევნების დროს მთავარი ყურადღება? უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ალაგას მოისუსტებს კავშირი პროფორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებსა და საკავშირო მასსას შორის და რომ პროფკავშირთა ყველა წევრები კიდევ არ არიან აქტიურად ჩაბმული საკავშირო მუშაობაში. ეხლანდელი არჩევნები სავსებით უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ საკავშირო მასსა ცხოვლად დაინტერესდეს პროფ-ორგანიზაციების ცხოვრებით, რომ იგი ფართოდ ჩაებას მათ საქმიანობაში.

პროფკავშირის წევრი ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტთან თუ ადგილკომთან არა მარტო მაშინ უნდა მიდიოდეს, როცა მას რაიმე ესაჭიროება, არამედ მათ შორის ყოველთვის მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს და იგი თვითონ უნდა იჩენდეს საჭირო თვითმოქმედებას და თაოსნობას. მხოლოდ მაშინ შესძლებენ ფაბრიკა-ქარხნის და ადგილობრივი კომიტეტები განავითარონ ნაყოფიერი მუშაობა, როცა მათ ზურგი ექნებათ გამაგრებული წარმოება-დაწესებულების მთელი მუშა-მოსამსახურეთა აქტიური დახმარებით.

მაგრამ საკავშირო მასსის აქტიური ჩაბმა პროფმუშაობაში თავის მხრივ დამოკიდებულია ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების უნარიანობასა და საქმიანობაზე, იმაზე, თუ რამდენად არიან ისინი დაახლოვებული თავის ამომრჩეველებთან, თუ რამდენად იცავენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ ინტერესებს.

მიმდინარე არჩევნების დროს სავსებით უნდა იქნას გამოაშკარავებული მათი საქმიანობა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. ფაბრიკა-ქარხნის და ადგილობრივ კომიტეტებმა უნდა წარუდგინონ თავის ამომრჩეველთ თავისი მოქმედების სრული ანგარიში, როგორც მიღწევები, ისე ნაკლულევანებანი. უნდა იქნეს განხორციელებული ამორჩეულ პირთა სრული პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე.

ამასთან ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საანგარიშო მოხსენებათა გარშემო გაიმართოს ფართე და ცხოველი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშა-მოსამსახურეთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა. ჩვენ საბოლოოდ უნდა უარვყოთ ის მავნე ჩვეულება, როცა მოხსენებებს ისმენენ მხოლოდ „ცნობისათვის“. საარჩევნო კრების მონაწილენი მიუდგომელი, გაბედული სიტყვით უნდა გამოვიდნენ და აღნიშნონ ყოველი ნაკლი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივი კომიტეტების მოღვაწეობაში.

ამავე დროს ცხადია, რომ საანგარიშო მოხსენებები უნდა შეიცავდენ არა მარტო შესრულებული მუშაობის აღნუსხვას, არამედ მათში უნდა იქნენ დასახული მომავალი ამოცანები, მუშაობის მომავალი გეგმა. თვით მუშა-მოსამსახურეებმაც უნდა აღნიშნონ, თუ რა აწუხებთ მათ, რისი გაკეთება მიაჩნიათ საჭიროდ.

აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა იმდენად პროფკავშირების საერთო ამოცანებზე, არამედ უფრო ამა-თუ იმ წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირ-ბოროტო საკითხებზე, მათ ჭირვარამზე და უნდა იქნას გამონახული ღონისძიებანი მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელ ორგანოებისათვის სათანადო კანდიდატების შერჩევას. უნდა მოხდეს ამ კანდიდატების ყოველმხრივი საჯარო შეფასება. უნდა იქნან გაყვანილი ისეთი პირები, რომელთაც მასსის ნდობა და პატივისცემა აქვთ დამსახურებული, რომელთაც შესწევთ მომზადება და უნარი ნაყოფიერი მასიური მუშაობისათვის. გარედან კანდიდატების მოხვევას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ექნეს ადგილი.

კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-ქალების წამოყენებას პროფორგანოების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ქალები ჯერ კიდევ არ არიან საჭირო მასშტაბით ჩაბმული პროფმუშაობაში. ამას უნდა მოეღოს ბოლო.

კიდევ უნდა ვსთქვათ, რომ ხსენებულ არჩევნების რიგიანად ჩატარებას აქვს უაღრესი მნიშვნელობა მთელი პროფკავშირების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საკავშირო მასსის უფრო მჭიდროთ დარაზმვისათვის პროფორგანიზაციების გარშემო, ამ მასსის თვითმოქმედების გაღვიძებისათვის.

ამიტომ ამ საარჩევნო კამპანიას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაცია

ჩვენი კოოპერაციის ორგანიზაციული მშენებლობა ჯერაც არ დამთავრებულა, ის ჯერ კიდევ არ არის სავსებით ჩამოყალიბებული და განმტკიცებული.

ახალი საბჭოთა კოოპერაციას ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო გამოცდილება. მისი მშენებლობისა და ზრდის პირველ ხანებში ბუნებრივია, თუ შეცდომებს ექნება ადგილი.

გასულ წელს ჩვენში დაიწყო მოქმედება სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, რომელიც შეუდგა საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებას ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რაიონებში და თემებში.

ბანკმა კიდეც შესძლო უკვე 100 მეტი საკრედიტო ამხანაგობის დაარსება.

მაგრამ მთავარია არა ამხანაგობათა რიცხვი, არამედ ის საქმიანობა და იმ მიზნის მიღწევა, რომელსაც ისახავს სასოფლო-სამეურნეო კრედიტს საბჭოთა ხელისუფლება და მშრომელი გლეხობა. ამ მხრივ ჩვენში ყველაფერი რიგზე ვერ არის. საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობამ არსებითი გავლენა ვერ მოახდინა სასოფლო მეურნეობის აღორძინებაზე. ცხადია, რომ მთელი რაიონის და თუ გინდ თემის მოსახლეობის მოთხოვნილებას კრედიტში ვერ დააკმაყოფილებს ვერც 3000 და ვერც ორჯერ სამი ათასი მანეთი, მეტის მიწოდება კი სასოფლო-სამეურნეო ბანკს არ შეეძლო, ანაბარის აკრეფის მხრივ ხომ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა.

ცალკე საკრედიტო აპარატის შენახვა კი ზედმეტ ტვირთად აწვება გლეხობას. ასეთი მცირე ფონდით ფართო საკრედიტო ოპერაციების განვითარება შეუძლებელი იყო, აპარატი დაუტვირთავი იყო მუშაობით, ამიტომ საშუამავლო ოპერაციების სახელწოდებით საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა დაახლოვებით იმავე ხასიათის სავაჭრო საქმიანობას, რომელსაც ეწევიან სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

ეს იწვევს პარალელიზმს, ძალთა და საშუალებათა უმიზნოდ დახარჯვას. გლეხობას უჭირვება თავისთავად არა ორგანიზაციათა სიმრავლე, არამედ მათი საქმიანობის რეალური შედეგები.

ჩვენი კოოპერაციის ერთერთ ყრილობაზე გლეხმა დელეგატებმა განაცხადეს: „ვეღარ გავიგეთ რომელი რომელია, იმდენი ორგანიზაციები არსებობს ჩვენშიო“. ამიტომ დღევანდელ პირობებში სრულებით მიზანშეუწონელი და ზედმეტია სოფლად ცალკე საკრედიტო ამხანაგობათა არსებობა. მარტო საკრედიტო ფუნქციებით ისინი ვერ დაკმაყოფილდებიან და თუ სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებთა დამზადება და გლეხობისთვის საჭირო ინვენტარის მიწოდება აწარმოეს, ეს ხომ, ვიმეორებთ, მავნე პარალელიზმს, ქიშპობას და ბრძოლას გამოიწვევს საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა შორის.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიზანი ხომ ერთი და იგივეა, — სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის ხელის შეწყობა მაშ ხელთ უნდა იყონ ისინი გათიშული, რათ არ უნდა შედიოდენ ისინი ერთ და იმავე კოოპერატიულ სისტემაში? საკითხი დიდი ხანია ასე ისმოდა და წამოყენებული იყო წინადადება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის ქსელის შექმნის შესახებ, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლები ამაზე არ თანხმდებოდენ.

ეხლა კი რ. კ. პ. მე-14-ე კონფერენციაზე ამ აზრს გაუმარჯვია. ეს ნათლად სჩანს ამხ. რიკოვის მოხსენების ანგარიშიდან. (ამ საკითხის შესახებ გამოყოფილი იყო ცალკე კომისია, რომლის მუშაობის შედეგებს ამხ. რიკოვი ასე გადმოგვცემს: „კომისიის მუშაობაში მიღწეულია ისეთი გადაწყვეტილება, რომელმაც შეათანხმა ყველა მოკამათე მხარეები. ეს გადაწყვეტილება შემდეგია: ქვედა საფეხურზე, სოფლად იქმნება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერატივი, რომელიც ემსახურება კოოპერატიული მოსახლეობის როგორც საკრედიტო, ისე მომარაგების და საშუამავლო მოთხოვნილებებს“.

კონფერენციამ კომისიის ეს დასკვნა გაიზიარა. ამნაირათ, შეიქმნება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის ქსელი, რომელიც უფრო უკეთ შესძლებს გლეხების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და სასოფლო მეურნეობის აღორძინებისთვის ხელის შეწყობას. არავითარ პარალელიზმს, მეტოქეობას და ბრძოლას ადგილი აღარ ექნება. შეიქმნება პირობები კოოპერაციის ნაყოფიერი და შეთანხმებული მუშაობისათვის სოფლად.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენშიც მალე დაიწყება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობებისთვის საკრედიტო ფუნქციების გადაცემა, მთლიან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის მოწყობა. საქართველოს სინამდვილე მოითხოვს ამ დადგენილების დაუყოვნებლივ გატარებას ცხოვრებაში. ამით მოიგებს კოოპერატიული მუშაობაც და სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიზანიც მიღწეული იქნება.

სასოფლო-სამეურნეო ბანკს იმავე გადაწყვეტილების ძალით რჩება ამ მთლიან ამხანაგობათა ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა საკრედიტო საქმიანობაში, თუმცა ეს ამხანაგობები შევლენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთლიან სისტემაში. ამხ. რიკოვის მოხსენების ანგარიშში შემდეგს ვკითხულობთ ამ საკითხის შესახებ: „ეს მთლიანი კოოპერატივი საკრედიტო მუშაობის მხრივ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო ბანკის სისტემაზე და მისი მუშაობის ყველა დარგებზე და შედის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საერთო ქსელში“.

საკითხის ასეთი გადაჭრა გააუმჯობესებს ჩვენი კოოპერაციის მუშაობას და მოუპოვებს მას გლეხთა მასების ნდობას. მთლიანმა სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციამ უნდა შესძლოს და უზრუნველყოს ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინება კოლექტიური გზით. ჩვენი ხელისუფლება და პარტია ჰქმნის პირობებს ამისათვის და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამაც სავსებით უნდა გამოიყენოს ეს პირობები და შესაძლებლობა.

იგ. ბუაჩიძე.

ქალთა შორის მუშაობა საბჭოთა აღმოსავლეთში

(საკავშირო თათბირის გამო)

მრავალი საკითხები აქვთ გადასაწყვეტი აღმოსავლეთის ქალთა განყოფილებების მუშაკებს. იმ მიზნით, რომ გადაეწყვიტათ ეს საკითხები, ისინი ჩამოვიდნენ საბჭოთა აღმოსავლეთის ყველა კუთხეებიდან იმ თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო რ. კ. პ. ცეკას ქალთა განყოფილების მიერ. აქ ჩვენ შეგვეძლო დაგვენახა და მოგვესმინა არა მარტო ქალთა შორის მუშაობის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, არამედ ქვედა საფეხურის მუშაკებიც კიშლაკებიდან და აულებიდან, საბჭოთა აღმოსავლეთის, ამიერ-კავკასიის, შუა აზიის და ყირგიზეთის მთიან სოფლებიდან და მივარდნილი კუთხეებიდან—ბურიათების, თურქმენების, კალმიკების, უზბეკების, ოსების, თურქების და სომხების ქალები—რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ იზიარებდენ თავისი დაჩაგრული დების ხვედრს, ეხლა კი, კომპარტიის ხელმძღვანელობით, მუშაობენ, როგორც ქალთა ორგანიზატორები, საკლუბო მუშაკები, სოფლის საბჭოების წევრები და სხვა.

მიუხედავათ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებისა, რომლებიც ანთავისუფლებენ და თანასწორუფლებიანათ ხდიან ქალს, აღმოსავლეთის ქალი თავის ოჯახში და საზოგადოებაში ისევ მონათ რჩება. შუა აზიაში, რომელსაც კონკურენციას ვერ გაუწევს ვერც ერთი რესპუბლიკა ქალების უუფლებო მდგომარეობის მხრივ, კარჩაკეტილობის კანონები იმდენათ ძლიერი და დესპოტიურია, რომ ქალთა განყოფილების აქტიური მუშაკებიც კი, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობიდან არიან გამოსული, იძულებული არიან ქუჩაზე გამოსვლისას დაიხურონ ხალათი (ფარაჯა) და სახეზე ჩამოიფარონ ცხენის ძუიდან გაკეთებული ბადე. ყოფა-ცხოვრების ტრადიციების გამო, რომლებსაც მაგრათ აქვთ გამჯდარი ფესვები, ქალს შუა აზიაში არ შეუძლია სახე აჩვენოს უცხო მამაკაცს თავის ოჯახშიაც კი. ქალს ჰყიდიან და ყიდულობენ, ათხოვებენ მცირე წლოვანს, თითქმის სულ ბავშვს, ბურიათ-მონღოლეთში კი ბავშვი დაბადებული არ არის და მისთვის უკვე საქმროს ეძებენ. რომ წარმოვიდგინოთ ქალის უუფლებო და დაჩაგრული მდგომარეობა, რომ გავზომოთ შარიათის ტრადიციების და ადათის ძალა, რომლებიც სულს უხუთავენ აღმოსავლეთის ერებს და ხელს უშლიან მათ ცხოვრებაში გაატარონ ახალი საბჭოთა კანონმდებლობა, ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი მუხლები შარიათიდან.

„1. სრულწლოვანათ ითვლებიან 12 წლის ვაჟები და 9 წლის ქალები“.

„§ 16. ქმარს უფლება აქვს ერთდაიმავე დროს იყოლიოს არა უმეტეს ოთხი ცოლისა“.

„§ 37. ქმარს უფლება აქვს თავისუფლება წაართვას თავის ცოლს, რომელიც მას არ ემორჩილება (აუკრძალოს სახლიდან გამოსვლა და დარიგების შემდეგ დასაჯოს მსუბუქათ)“.

უკეთეს მდგომარეობაში არ არის ჩვენი მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიაც, სადაც ქალთა განყოფილების მუშაკი იძულებულია ებრძოლოს მონის მოყვარულ ინსტიქტებს მამაკაცებისა, რომლების ხელშია გაყრის და ქალების თავისუფლების უფლება.

ჩვენი ქალთა განყოფილებების ღონისძიებების და ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსულ აქტიურ მუშაკთა თავგანწირვის წყალობით უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ისინი იძულებული არიან ებრძოლონ არა მარტო მონის მოყვარულ ცრუმორწმუნოებებს, არამედ შრომის პირველყოფილ ფორმებსაც.

ისინი ასწავლიან აღმოსავლეთის ქალებს იმუშავონ და იცხოვრონ ახალი წესების მიხედვით: თანდათან აბამენ მათ საწარმოო შრომაში, წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, ახალგაზრდა ქალებს კი პროფტეხნიკურ სკოლებში. მარტო 1923—24 წლის განმავლობაში აბრეშუმის წარმოების სასეზონო მუშაობაში შუა აზიაში ჩაბმული იყო 609 უზბეკი-ქალი და აბრეშუმის ხახვევ ფაბრიკაში—96. ამას გარდა, საწარმოო არტელებში მუშაობენ უზბეკთა, თურქმენთა და ყირგიზთა ასეული ქალები.

ამრიგათ, ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფა-ცხოვრება ირღვევა და აღმოსავლეთის ქალი, რომელიც აქამდი დაჩაგრული იყო, მუშა-ქალთა განყოფილების და საბჭოთა ხელისუფლების რეალური დახმარებით თანდათან ებმება სამეურნეო ცხოვრებასა და აღმშენებლობაში.

თუ როგორია ქალთა მასების აქტიურობის და შეგნების ზრდა, ამას ამტკიცებს ქალების მონაწილეობა საბჭოებში და ხელისუფლების სხვა ორგანოებში: 1923—24 წელს შუა აზიაში საბჭოებში მონაწილეობას იღებდა 287 ქალი, რომელთაგან 40 არჩეული იყო აღმასკომის წევრებათ. მიმდინარე წელში კი საბჭოებში არჩეულია 700 ქალი, რომელთაგან ყარა-ყირგიზეთის საბჭოებში—300, თურქმენისტანის საბჭოებში—198 და უზბეკისტანის—200. ეს ამტკიცებს, რომ ქალების შეგნება და აქტივობა იზრდება, ისინი თანდათან ებმებიან საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

თათბირზე წაკითხულ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობის ძირითად ფორმებათ და მეთოდებათ მიჩნეული იყო ერთის მხრივ დელეგატთა კრებები და მეორეს მხრივ საკლუბო მუშაობა და „კუთხეების“ მოწყობა.

ვინაიდან საბჭოებში და ხელისუფლების სხვა ორგანოებში არჩეულ ქალებს განსაკუთრებულ პირობებში უხდებათ მუშაობა, ამიტომ თათბირმა აუცილებლათ სცნო, რომ მათ გარშემო შეიქმნეს ატმოსფერა ნდობისა და დახმარებისა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრიდან.

მაგრამ ამასთან ერთად ყურადღება აქვს მიქცეული პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას, რომელთა დახმარებითაც საბჭოების წევრი-ქალები გაეცნობიან საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებს და დადგენილებებს და მოემზადებიან საბჭოებში მუშაობისათვის.

თათბირი შეეხო აგრეთვე მუშაქალების მომზადების და გადამზადების საკითხს: ამის შესახებ მიღებული იქნა დადგენილება, რომლის ძალით ადგილებზე გაძლიერებული უნდა იქნეს იმ მუშაკების პოლიტიკური აღზრდა და მომზადება, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობიდან არიან გამოსული.

ამ მიზნით თათბირმა დაადგინა ადგილებზე, და აგრეთვე ცენტრში—ცეკასთან დაარსებული იქნეს ქვედა საფეხურის მუშაკების მოსამზადებელი კურსები.

თათბირმა მიიღო აგრეთვე მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებები ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

ნ. ზავარიან.

საბჭ. კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. კამენევის მოხსენება — უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე

საბჭოთა კავშირის მშრომელნი ყოველ წუთს მზად არიან დაიცვან თავისი ძალაუფლება

ევროპაში მზადდება ნიადაგი ახალი იმპერიალისტური ომისათვის.

ბურჟუაზიამ თავისი ბატონობის შენარჩუნება შესძლო მეორე ინტერნაციონალის დახმარებით

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების თანამშრომლობა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ფაქტია

ლოზუნგი: „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ, უნდა შევავსოთ კონკრეტიული ეკონომიური შინაარსით“

ხარკოვი, 6 მაისი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის გასული წლის მუშაობას შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის ცნობა მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოების მიერ.

ერთ ხელში გუთანი მეორე ხელში თოფი

ჩვენ გავიმარჯვეთ და მივაღწიეთ ცნობას არა იმიტომ, რომ ტეხნიკურად უფრო ძლიერი ვიყავით მოწინააღმდეგეზე, არამედ იმიტომ, **რომ მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების სოციალური სიმპატიები იყო მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მხარეზე.** ამავე დროს ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ ცნობის შემდეგ ჩვენ მტრებს უძნელდებათ საბჭოთა რესპუბლიკაზე თავდასხმა, **მაგრამ ეს სრულიად არ გვაძლევს უშიშროების სრულ გარანტიას**, რაც აუცილებელია იმ მშვიდობიან ამოცანების გადასაჭრელად, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხები ახმარენ მთელ თავის ენერგიას და ძალ-ღონეს.

არაფერს ისე არ უფრთხიან ხალხთა ფართო მასები, როგორც სამხედრო პროვოკაციის, რომელიც იძულებულს გაგვხდიდა ჩვენ მიგვეტოვებინა უდიდესი შრომა მეურნეობის აღსადგენად, რასაც გატაცებით ხელი მოჰკიდეს ჩვენი კავშირის ხალხებმა **მაგრამ დეე ყველამ იცოდეს, რომ თუ საჭირო იქნება გუთნის და ჩაქუჩის მიტოვება, ვინტოვკის და ტყვიის მფრქვეველის ხელში აღება, მაშინ ამ ვინტოვკას მტკიცედ დაიკავებენ ხელში პროლეტარიატი და გლეხობა.**

ევროპაში ომის სუნი ტრიალებს

ეხება რა ევროპის ქვეყნების შინაურ მდგომარეობას, კერძოდ ინგლისს, საფრანგეთს და გერმანიას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შეიცვალა პაციფისტურ-დემოკრატიულ ხანის ჩანასახი შეიცვალა შავი რეაქციით თუ ამაში შეიძლება დავინახოთ ბურჟუაზიულ ძალთა გაძლიერება, **მაშინ ამ პროცესს აქვს კიდევ მეორე მხარეც. ერთსა და იმავე დროს [illegible] ბურჟუაზიის მიერ გადაუჭრელი საკითხები და ეროვნული შუღლა-შემოხლა, რაც გამოწვეულია ომით და ვერსალის ხელშეკრულებით; ეს კი ნიადაგს უმზადებს ახალ ომებს. სრულიად აშკარაა, რომ ერთსა და იმავე დროს ეს პროცესი უმზადებს ევროპას ახალ სამხედრო კატასტროფას.**

განა ბულგარეთის უკანასკნელი ამბები არ არის ამის ნიშანი? როდესაც ბულგარეთის მთავრობამ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა თავისი ხალხი. ის შეეცადა მთელი პასუხისმგებლობა სოფიაში მომხდარ აფეთქებისათვის დაეკისრებია მოსკოვისათვის. მაგრამ ამავე აფეთქებასთან დაკავშირებით ის შეეცადა ანგარიშები გაესწორებია სამხრეთ-სლავიასთან. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში იყო ისეთი მდგომარეობა, რომ აფეთქებას შეეძლო გამოეწვია ბალკანეთის ახალი ომი.

მიუხედავად კაპიტალისტების პოზიციების ნაწილობრივად განმტკიცებისა, ომი მოსალოდნელია ყოველ წუთს. მაგრამ ბურჟუაზიის მდგომარეობა მაინც მერყევია და იგი იჩენს უძლურებას და შიშს მოსალოდნელ საფრთხის წინაშე. **კაპიტალისტურ მსოფლიოს კარზე მიადგა პროლეტარული რევოლიუცია, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული არა ვართ, რომ მის თავიდან ასაცილებლად საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალისტები არ შეთანხმდებიან და კაცობრიობას თავს არ დაატეხენ ახალ ომებს და სისხლისღვრას, რათა ამ ომებში ჩაახრჩონ სამოქალაქო ომი, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება.**

ჩაგვრის და მონობის სისტემა

იმპერიალიზმის მთელი სისტემა დაყარებულია არა მარტო პროლეტარულ მასების ჩაგვრაზე ევროპა და ამერიკაში, არამედ კიდევ უფრო მეტად აღმოსავლეთის ხალხთა კოლონიალურ მონობაზე. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მთელ ჩვენ აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე სცხოვრობს მთელი დედა-მიწის მცხოვრებთა ერთი მესამედი, რომ ჩვენ საზღვრებთან იწყება ჩინელების ტერიტორია, იწყება ინგლისის კოლონიები, როგორც მაგ. ინდოეთი—თქვენ გაიგებთ, რა დიდი საფრთხე მოელის ბურჟუაზიას აღმოსავლეთის ხალხთა მხრივ.

მდგომარეობა ევროპაში და აღმოსავლეთში ამტკიცებს ჩვენი მთავარი ხაზის სისწორეს. ჩვენ ვამბობდით, რომ იმპერიალისტურ ომის შემდეგ წარმოუდგენელია შუა ხაზის პოლიტიკა, რომ იმპერიალისტურ ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში მექანიკის კანონთა მიხედვით გამეფდება ან კაპიტალის დიქტატურა ან პროლეტარიატის დიქტატურა. ყველა საშუალო პარტიები, რომელთა სათავეში დგანან მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები, სამარცხვინოთ გაკოტრდენ თითქმის ყველა ქვეყნებში, ყველა ეს ქვეყნები მიდიან რა სოციალ-დემოკრატების მიერ გაკაფული გზით, უახლოვდებიან რეაქციის ბატონობას. მაგრამ ბატონმა ჩემბერლენმა და ლოიდ-ჯორჯებმა იციან **რომ მათ ემუქრება არა ქაღალდი, რომელზედაც დაწერილია „პროლეტარიატის დიქტატურა“, არამედ ნამდვილი მილიონიანი მასა, რომელიც მიდის ამ დიქტატურისაკენ.**

ბურჟუაზიას ზურგს უმაგრებს მეორე ინტერნაციონალის გამცემლობა

უკეთებს რა ჯამს მთელ ისტორიულ ხანას მომხსენებელი აღნიშნავს, რომ როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგ პირველ ათი წლის განმავლობაში ბურჟუაზიის ბატონობა შენარჩუნებული იქნა არა გენერლების, ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების და ფინანსისტების ნიჭით, არამედ მეორე ინტერნაციონალის მოღალატური, ლაქიური მუშაობით, რომ ეს ასე არ ყოფილიყო, ბურჟუაზია ყველგან აღგვილი იქნებოდა პირისაგან მიწისა. ამის გამო ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ შევაფასეთ მეორე ინტერნაციონალის გამცემლური როლი, ბურჟუაზიამ ინტერნაციონალის დახმარებით მოხერხებულად აიცილა თავიდან სახალხო აღშფოთება და შეაჩერა ძლევა მოსილი პროლეტარული რევოლიუციის ჩქარი შემოტევა.

მაგრამ პროლეტარული რევოლიუციის თავიდან აშორებას ბურჟუაზია ვერ შესძლებს. **პროლეტარული რევოლიუცია, როგორც აუცილებელი ბედისწერა, კარზე მიადგა ბურჟუაზიას. ჩვენ დავინახავთ, რომ ერიოს, მუსოლინის და ჰინდენბურგების გვამებზე დამყარდება ნამდვილი მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია.**

უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტი

საერთაშორისო ურთიერთობის დარგში აღნიშნავს კიდევ ერთ ფაქტს, რომლის არასაკმარისად შეფასება არ შეიძლება, მაგრამ, რომელსაც დღემდის არ აქცევდენ საკმაო ყურადღებას. **ეს არის—ჩვენი და ინგლისის პროფკავშირების დაახლოვების ფაქტი.** ეს მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ ინგლისის პროფკავშირები, რომელნიც აერთიანებენ, უმთავრესად, ინგლისის კვალიფიციურ მუშებს, ყოველთვის შეადგენდენ რეფორმიზმის ბაზას. 11 მილიონიან პროლეტარიატის გაერთიანება წარმოადგენს უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტს, **რომელსაც აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ლონდონის, გენუას და სხვა კონფერენციებს.**

ვიღებთ რა მხედველობაში ყოველივე ამას, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ მართლაც ბურჟუაზიის პოზიციები განმტკიცდენ და მართლაც მოხდა კაპიტალის სტაბილიზაცია. **მაგრამ ამავე დროს ევროპაში ფეხს იკიდებს რევოლიუციონური სულისკვეთება. საკითხი მდგომარეობს იმაში, შევსძლებთ თუ არა ჩვენ გამაგრებას მანამ, სანამ ნაყოფს გამოიღებდეს რევოლიუციონური თესლი, რომელსაც სთესავს ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია.**

სამი ამოცანა

ეხლა მე თქვენ მოგახსენებთ, რა გავაკეთეთ ჩვენ და რის გაკეთებას ვფიქრობთ მომავალში, რომ შევინარჩუნოთ პოზიციები ამ მომენტამდე. აქ ჩვენი ძალ-ღონე მომართული უნდა იქნას 3 ხაზით.

პირველი—ეროვნული საკითხის სისწორით გადაჭრა. ეს არის საკითხი კავშირის ეროვნული მშენებლობის შესახებ, საკითხი იმის შესახებ, **რათა ეს კავშირი იყოს მართლაც მშრომელთა თავისუფალი გაერთიანება, რომელშიაც ეს მშრომელები უნდა ხედავდენ თავიანთ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.**

მეორე—თავდაცვის უნარიანობის გადიდება და წითელი არმიის განმტკიცება. უნდა უზრუნველვყოთ იგი ტეხნიკითა და გავაძლიეროთ მისი სამეურნეო რეზერვები, რაც საჭიროა იმისათვის, რათა ძლევა მოსილად ვაწარმოვოთ ომი.

მესამე და მთავარი ამოცანა ეს არის ჩვენი სამეურნეო ძლიერების გამტკიცება.

დაახასიათა რა სახალხო მეურნეობა ყველა მის დარგებში, კამენევმა სთქვა: „თუ ჩვენ მომავალშიაც ყოველ წელს გავადიდებთ ჩვენს პროდუქციას ათეული პროცენტით, როგორც დღემდის, ჩქარა აღარ დაგვეჭირდება ჩვენი მიღწევების შედარება ომის წინა დროის დონესთან. და ვიტყვით; რას გვიქვიან ომის წინა დროის დონე?

პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ

„ეხლა მე შევეხები საკითხს, რომელიც იქცევს საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს ყურადღებას და მახლობელ წლებში გახდება მთელი სამეურნეო აღმშენებლობის მთავარ საკითხად. საწარმოვო ძალთა განვითარება წარმოადგენს მიმდინარე მომენტის მთავარ ამოცანას. მრეწველობის განვითარება, გლეხობის მდგომარეობა და სახელმწიფოს მთელი ძლიერება მოითხოვს ამას. ჩვენ უკვე ცოტა რამ გავაკეთეთ წელს გლეხობისათვის, მაგრამ უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ გასაკეთებელი გვაქვს. კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ სავაჭრო აპარატის გასაუმჯობესებლად და პირველ რიგში კოოპერაციის განსამტკიცებლად. გლეხმა უკვე მიიღო მტკიცე ფული და ბევრი მოიგო სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლებით. მთელი პასუხისმგებლობით ვამტკიცებ; **რომ მიმდინარე წელს სახელმწიფომ გადაუხადა გლეხობას პურისათვის 50 პროც—ით მეტი. ვიდრე წარსულ წელს.** გარდა ამისა გლეხობა მიიღებს წელს გადასახადების დაკლებას და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გადიდებას. ყველაფერი ეს, რათქმა უნდა, პირველი ნაბიჯია, პოლიტიკა ამ მიმართულებით განგრძობილი იქნება.

მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ თუ წელს მოუსავლობის, პურის ნაკლულოვანების დროს ჩვენ ერთ განსაზღვრულ დონეზე შევაჩერეთ პურის ფასები ახალ მოსავლის დროს —თუ პურის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებმა იწყო დაცემა განსაზღვრულ დონეზე ქვევით, მთელ ჩვენს ძალ-ღონეს მივმართავთ იქითკენ რათა უზრუნველვყოთ სამართლიანი ფასები პურზე. ჩვენ განვაგრძობთ საგადასახადო აპარატის გაუმჯობესების და გადასახადის იმ ნაწილის შემსუბუქებას, რომელიც სოფელმა უნდა გამოიღოს.

მთავარი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ მიმდინარე წელში, მდგომარეობს საერთო პოლიტიკაში სოფლის მიმართ. ყველა შემაფერხებელი ზომები, რომლებიც დარჩა გასულ ეპოქიდან და რომლებიც ხელს უშლიან სოფლის განვითარებას, მოხსნილი უნდა იქნეს. საბჭოების უახლოეს ყრილობაზე საკავშირო მასშტაბით გატარებული იქნება კანონები, რომლებიც მოსპობენ ამ შემაფერხებელ ზომებს.

საკმარისი არ არის პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ. **საჭიროა ეს ლოზუნგი შევავსოთ კონკრეტიული ეკონომიური შინაარსით.** ჩამოთვლილმა ღონისძიებებმა უნდა დაამტკიცოს, რომ გლეხობამ და საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო პირი იბრუნეს სოფლისაკენ, არამედ მათ სოფელში შეაქვთ ისეთი კანონები, რომლებიც ნამდვილათ ხელს უწყობენ გლეხური მეურნეობის განვითარებას. საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი არ უნდა დარჩეს მარტო მშრალ ლოზუნგათ. საჭიროა, რომ გლეხობამ საბჭოებში იცნოს თავისი საკუთარი ორგანოები. მხოლოდ ასეთ პირობებში მივაღწევთ ჩვენ გამარჯვებას საერთაშორისო მასშტაბით“.

რეზოლიუცია

ხარკოვი, 6 მაისი. ამხ. კამენევის მოხსენების გარშემო გამართულ კამათისა და მისი საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის სავსებით იწონებს საკავშირო მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის ორი წლის განმავლობაში უკრაინის მშრომელი მასების თვალში სავსებით გამართლდა კავშირის შექმნის მიზანშეწონილება და აუცილებლობა; ამასთანავე ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა სავსებით ეთანხმება უკრაინის მშრომელი მასების ინტერესებს.

ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ საკავშირო მთავრობის შემდგომი პოლიტიკა, მის წინაშე დასმული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ გლეხთა მეურნეობის და მრეწველობის აღორძინებას და მუშების და გლეხების მდგომარეობის შემდგომი შემსუბუქება კიდევ უფრო განამტკიცებენ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების ძმურ სოლიდარობას და ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის მიმართ სიმპატიების ზრდას მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს შორის.

ამასთანავე ყრილობა მიუთითებს საკავშირო მთავრობას იმ ძალადობაზე და დაცინვაზე, რომლებითაც ეპყრობიან დასავლეთ უკრაინის, ბესარაბიას და ბუკოვინის მუშებს და გლეხებს რუმინელი მემამულეები და პოლონელი პანები, რომლებმაც დაიპყრეს ეს ოლქები.

ყრილობა ფიქრობს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების გადიდებული სამეურნეო, ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ მიღებული იქნეს უფრო აქტიური და ენერგიული ზომები ჩვენი ძმების დასაცავად, რომლებიც იტანჯებიან პოლონელი და რუმინელი თავადების უღლის ქვეშ. ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ გადაჭრით იქნეს დასმული საკითხი რუმინეთის ძალდატანებითი ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ ბესარაბიაში და მოეთხოვოს პოლონეთის მთავრობას, რომ მან სისწორით შეასრულოს რიგის ხელშეკრულების ძალით თავის თავზე მიღებული ვალდებულებები იმ ოლქების უკრაინელი და ბელორუსელი მოსახლეობის მიმართ, რომლებიც იძულებითი შეიერთა პოლონეთმა.

„კომუნისტი“
ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ. 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მანეთი
პროვინციაში— 1 მ. 20 კაპ.
გრძელდება ხელის მოწერა
მაისისათვის

კომუნისტი

ხუთშაბათი, 7 მაისი 1925 წ. № 102 (1257)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ანგარიში იმპერიალისტებს

(საუბარი ამიერ-კავკასიისათვის ინტერვენციით მიყენებული ზარალის გამომრკვევი კომისიის თავმჯდომარესთან ამხ. გუსეინოვთან)

საბჭოთა კავშირის ცნობის გამო მთელ რიგ იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ პირველ რიგში ისმება საკითხი ურთიერთ ანგარიშების შესახებ. მთელს საბჭოთა კავშირში და ამიერ-კავკასიაში ამჟამად ანგარიშობენ იმ ზარალს, რომელიც მიაყენა საბჭოთა კავშირს კაპიტალისტური სახელმწიფოების ინტერვენციამ, იმ მიზნით, რომ წარდგენილი იქნეს კონტრ-პრეტენზიები.

ამის გამო ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამიერ-კავკასიისათვის ინტერვენციით მიყენებული ზარალის გამომრკვევ კომისიის თავმჯდომარეს—ამხ. **გუსეინოვს.**

ზარალის აღრიცხვა—სთქვა ამხ. გუსეინოვმა,—მეტად ძნელია, რადგან ანგარიშების და დოკუმენტების დიდი ნაწილი მოსპობილია, ზოგიც დაიკარგა და ამიტომ შეუძლებელია ზარალის ნამდვილი რაოდენობის გამორკვევა.

აზერბაიჯანის ზარალი

წინასწარი ცნობები, რომლებიც შეაგროვა აზერბაიჯანის რესპუბლიკანურმა კომისიამ, ინგლისის ჯარების თარეშის ნათელ სურათს იძლევიან. **ინგლისის სარდლობის საერთო დავალიანება აზერბაიჯანში უდრის 5.112.888 გირ. სტერლინგს.**

ამ თანხაში შედის სესხი ინგლისის სარდლობის სამხედრო საჭიროებისათვის—505.000 გირ. სტ. სესხი სხვა ოპერაციებისათვის შეადგენს 630,991 გირ. სტ. აზერბეიჯანის მთავრობასთან შეთანხმებით ინგლისის სარდლობამ მიიღო 675.000 გირ. სტ. ამას გარდა აქციზი სხვა და სხვა ნავთის პროდუქტებზე 326.319 გირ. სტ. აზერბაიჯანის საბაჟოებიდან წაღებულია 1965 სტერლ. ქონება და საქონელი. ბაქოს ხაზინიდან გატაცებულია ნაღდი ფული—553.120 გირ. სტ. და პროცენტიანი ქაღალდები—1.854.923 გირ. სტ. ბრიტანეთის ჯარების გადაზიდვის ღირებულება გამოიხატება 522.090 გირ. სტ.

საქართველოს ზარალი.

ინგლისის სარდლობის მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზარალი მეტად დიდ თანხას შეადგენს—**209.769.073 ოქრ. მან., 58.126 გირ. სტ. და 50.000 სპარსული კრანი.**

საფრანგეთის ჯარების მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზარალი უდრის—2.213.000 მანეთს.

ოსმალეთის ინტერვენციით მიყენებული ზარალი უდრის სახელმწიფო დაწესებულებებში—9.370.806 მან. 60 კაპ., საზოგადოებრივი ორგანიზაციები—3.362.025 მან. და კერძო პირები—3.734.128 მან. 60 კ. ამრიგათ, ზარალის საერთო რაოდენობა გამოიხატება—16.466.960 მ. 20 კ.

სომხეთის ზარალი

სომხეთში ზარალის გამორკვევა ჯერ არ არის დამთავრებული.

დასასრულ ამხ. გუსეინოვმა განაცხადა, რომ ზარალის გამომრკვევ კომისიების მუშაობა რამოდენიმედ შეწყვეტილი იყო, მაგრამ ეხლა ის განახლდა და ჩქარის ტემპით მიდის. ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანურ კომისიებთან დაარსებულია სპეციალური ტეხნიკური კომისიები, რომლებიც დეტალურად დაამუშავებენ მიღებულ მასალებს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

ლონდონი, 5 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს ვაჭრობის მინისტრმა კენლიფ ლისტერმა მოიყვანა შემდეგი ცნობები ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ: **1924 წელს საბჭოთა კავშირიდან ინგლისში შემოტანილი იყო 20 მილიონი გირ. სტერლინგის საქონელი. იმ საქონლის ღირებულება, რომელიც გაზიდული იყო ამავე ხნის განმავლობაში ინგლისიდან საბჭოთა კავშირში, უდრის 11.170 ათასი გირ. სტერლინგს,** ამ თანხიდან 3,826,000 გირ. სტერლინგი უწევს ინგლისის საქონელს, ხოლო 7,350,000 გირ. სტერლინგი კოლონიალურ და უცხოეთის საქონლის გაზიდვას ინგლისიდან. 1925 წლის პირველ მეოთხედში საბჭოთა კავშირის მიერ ინგლისიდან გატანილი საქონლის ღირებულება უდრის 4,599,000 გირ. სტერ. ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირიდან გამოტანილ საქონლის ღირებულება—3,245,000 გირ. სტერლინგი.

გერმანიაში

მენშევიკები დამნაშავენი არიან ჰინდენბურგის არჩევაში.

ბერლინი. 5 მაისი. ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების ოპოზიციონურ კომიტეტების კრებამ, მოისმინა რა **რუტ ფიშერის** და პიკის მოხსენება, ხმების აბსოლიუტური უმრავლესობით წინააღმდეგ ერთი სოც.-დემოკრატისა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ **პასუხისმგებლობა ჰინდენბურგის არჩევისათვის ეკისრებათ სოციალ-დემოკრატებს.**

შემდეგ რეზოლიუცია ესალმება კომპარტიის წინადადებას ჰინდენბურგის მიერ თანამდებობის მიღების დღეს ერთი დღის გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

საქალაქო არჩევნები საფრანგეთში

პარიზი. 5 მაისი. რადიკალები ძალიან გახარებული არიან საქალაქო არჩევნების შედეგებით, განსაკუთრებით ისინი ზეიმობენ კომუნისტების დამარცხების გამო. მაგრამ მსხვილი კაპიტალისტური წრეები, რომელთა ინტერესების გამომხატველი არის „ჟურნალ ენდუსტრიელ“, სცდილობენ გამოაფხიზლონ ზეიმის გუნებაზე მყოფი რადიკალები და მოუწოდებენ ბრიანს და კაიოს „კარგად შეისწავლონ ამბები და ფაქტები“. მეორე მხრით, ნაციონალური ბლოკის წრეებში აღნიშნავენ, რომ გამარჯვება წილად ხვდათ უმთავრესად სოციალისტებს, რომლებმაც შეიძინეს მრავალი ამომრჩეველები რადიკალების ხარჯზე.

ნამდვილად კი კომუნისტების დამარცხება არც ისე დიდია, როგორც ამას აღნიშნავენ მათი მოწინააღმდეგეები. თუ საპარლამენტო არჩევნებში 1924 წელს მათ მიიღეს პარიზში ყველა ხმების 22 პროცენტი, ეხლა მათ მიიღეს 19 პროცენტი, ამასთან ერთად, პარიზში არჩეულ ორ კომუნისტს გარდა, პარიზის ექვს ოლქში კომუნისტებს სერიოზული შანსები აქვთ იმისა, რომ არჩეული იქნებიან ხელმეორე კენჭის ყრის დროს. პარიზის მიდამოებში და 17 ოლქში კომუნისტები ან უკვე არჩეული არიან, ან კიდევ მეტი შანსები აქვთ, ვიდრე სხვა პარტიებს, რომ გაიმარჯვებენ ხელმეორე კენჭის ყრის დროს.

საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ დაადგინა დაგზავნოს მთელს საფრანგეთში დირექტივები, რომელიც პირველად გამომუშავებული იყო მხოლოდ პარიზის რაიონისათვის. ამ დირექტივების თანახმად, კომუნისტების კანდიდატურები უნდა დატოვებული იქნენ ხელმეორე კენჭის ყრის დროს იმ ადგილებში, სადაც პირველი კენჭის ყრის დროს კომუნისტებმა მიიღეს უფრო მეტი ხმა, ვიდრე მემარცხენე ბლოკის კანდიდატებმა; ხოლო იქ, სადაც მემარცხენე ბლოკმა მეტი ხმა მიიღო, კომუნისტების კანდიდატურები მოხსნილი უნდა იქნენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამომრჩეველებს უნდა განემარტოს ამ ტაქტიკის აზრი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მუშებს მიეცეს მემარცხენე ბლოკის გამოცდის საშუალება. იქ, სადაც მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ მხოლოდ სოციალისტები, კომუნისტები წინადადებას მისცემენ მათ წამოაყენონ ხელმეორე კენჭის ყრის დროს საერთო სია, სადაც ორივე პარტია წარმოდგენილი იქნება პროპორციონალურად იმ ხმების მიხედვით, რომლებიც მიიღო თვითეულმა მათგანმა პირველი კენჭის ყრის დროს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წამოყენებული იქნეს კომუნისტების საერთო სია მემარცხენე ბლოკთან. იმ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ დირექტივებში, ყველა წამოჭრილი საკითხები უნდა გადასჭრას პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ექსპერტების კომისია.

პარიზი, 6 მაისი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ექსპერტების კომისიის მუშაობამ სერიოზულად წაიწია წინ. მუშაობის ამოცანა დროებით განისაზღვრება იმ ვალის საერთო ჯამის გამორკვევით, რაც ერგებათ ფრანგ მეპატრონეებს მეფის მთავრობის ვალდებულებებით.

ამ გამოანგარიშებათა საფუძვლად კომისიამ მიიღო რუსეთის მიერ ომის დაწყებამდე აღებული სახელმწიფო სესხთა ჯამი და სხვ...

კომისიამ გადასწყვიტა განიხილოს აგრეთვე საკითხი იმ თანხის შესახებ, რაშიაც გამოიხატება საფრანგეთში არსებული რუსეთის ქონების ღირებულება.

„პარიზის მოამბე“

პარიზი, 6 მაისი. 5 მაისს პარიზში გამოვიდა პირველი ნომერი გაზ. „პარიზის მოამბისა“ რუსულ ენაზე. გაზეთში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მდგომარეობის დახასიათებას.

ემიგრანტთა წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გაზეთში დაბეჭდილმა მაზურენკოს წერილმა; მაზურენკო იყო ერთერთი ხელმძღვანელთაგანი გლეხთა მოძრაობისა 1905 წელში; ის აცხადებს, რომ არავითარ მთავრობას, გარდა საბჭოთა მთავრობისა, არ შეუძლია რუსეთში გაძლება ერთ თვეზე მეტს გლეხების თანამედროვე მდგომარეობისა და სულიერ განწყობილების პირობებში.

გაზეთი იბეჭდება საბჭოთა ორთოგრაფიით.

პირველი ჰაეროპლანის ამშენებლის გარდაცვალება

პარიზი, 6 მაისი. ტულუზაში გარდაიცვალა 84 წლის კლემან ადერი, რომელმაც 1890 წელსააშენა პირველი ჰაეროპლანი.

სატრანსპორტო მუშათა გაფიცვის გამო პარიზში

პარიზი, 6 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით 5 მაისს დილით დაიწყო და იმავე დღეს სალამოთი დასრულდა პარიზის რაიონის ტრამვაისა და ავტობუსების მუშათა გაფიცვა; ეს გაფიცვა გამოცხადებული იყო იმ დისციპლინარულ სასჯელის წინააღმდეგ, რომელიც მეპატრონეებმა დაადეს სატრანსპორტო მუშებს 1 მაისის უქმობისათვის.

საბჭოთა წიგნის გამოფენა

პრაგა, 6 მაისი. საბჭოთა წიგნის გამოფენა პრაგაში ინახულეს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ჩეხიის გამოჩენილმა მეცნიერებმა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ჩეხია-რუსეთის დაახლოვების საზოგადოების წევრმა ბედლიმ; მოკლე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ანტონოვმა.

კანონპროექტი ოქროს ტრიალის შესახებ

ლონდონი, 6 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით თემთა პალატამ მესამე კითხვის დროს მიიღო კანონ-პროექტი ოქროს ტრიალის შესახებ.

რწმუნების სიგელის გადაცემა კოპპის მიერ

ტოკიო. 6 მაისი. 5 მაისს საბჭოთა კავშირის ელჩმა კოპპმა რწმუნების სიგელები გადასცა პრინც რეგენტს.

რწმუნების ქაღალდების მიღებისას პრინცმა რეგენტმა განაცხადა, რომ ის ბედნიერია საბჭოთა კავშირის პირველი ელჩის მიღებით.

შემდეგ კოპპს აუდიენცია ქონდა დედოფალთან.

ცერემონიის დროს კოპპს მიესალმა საპატიო ყარაული. საბჭოთა კავშირის საელჩოდან სასახლემდე ქუჩები სავსე იყო ხალხით. კინემატოგრაფების წარმოებანი კოპპის მგზავრობის სურათებს იღებდენ სასახლემდე და უკან დაბრუნებისას.

პოლონეთის პანების სასამართლო.

ვარშავა, 6 მაისი. ვარშავის საოლქო სასამართლომ კომპარტიის და ახკომკავშირის პირველი მაისის მოწოდებების გაკვრისა და გავრცელებისათვის 9 კაცს სათითაოდ მიუსაჯა წელიწადნახევარი კატორღა, ერთს ერთის წლით და ერთსაც ორის წლით. გასამართლებულთა წლოვანება არ აღემატება 18-დან 25 წელს.

გერმანიის „მარქსისტული“ სოციალ-დემოკრატები



კარლ მარქსიდან ვილჰელმ მარქსამდი.



კაუცკი — „მარქსისტი“

(„როტე ფანედან“).

ინგლისელი მუშა-ქალები საბჭოთა კავშირის შესახებ

ლენინგრადი, 6 მაისი. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციის თავმჯდომარემ მერი კვეილმა გაუზიარა მას თავისი შთაბეჭდილებანი. მიღებული მოსკოვსა და ლენინგრადში.

მერი კვეილის სიტყვით საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მასზე ამ ქალაქებმა. ის უნებურათ ადარებდა რუსეთის და ინგლისის მუშა-ქალთა ცხოვრების პირობებს და გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ინგლისში არ მოიპოვება ისეთი მშვენიერი დაწესებულებანი, როგორც ბაგები, საბავშვო სახლები, კერები; მუშათა კლუბები, მუშა-ქალთა კუთხეები და სხვ.

„შესაძლოაო,—სთქვა კვეილმა—ინგლისის ქალის ხელფასი უფრო მეტია, ვიდრე რუსეთის მუშა-ქალისა, მაგრამ რუსეთის მუშა-ქალი გაცილებით უკეთეს პირობებშია თავისი უფლებების დაცვის მხრივ. კვეილი გაოცებული იყო, როდესაც „ტრეუგოლნიკის“ ფაბრიკაში ნახა, რომ ყველა მუშა-ქალები იღებენ რძეს. ასეთ რამეს ინგლისში ადგილი არ აქვს.

წითელი ფლოტი გაძლიერდა

ჰელსინგფორსი, 6 მაისი. გაზ. „გუფუდსტადბლადეტ“ იტყობინება საბჭოთა კავშირის ბალტიის ფლოტის საზაფხულო მოგზაურობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ჩიხეთის საზღვაო წრეები ამ კამპანიის ადრე დაწყებაში ხედავენ საბჭოთა კავშირის სამხედრო ფლოტის ტეხნიკური მოწყობილების, შეიარაღების და პირადი შემადგენლობის დიდი გაუმჯობესების ნიშნებს, გასულ წელთან შედარებით.

აღმოსავლეთში

სამხედრო მოქმედება მაროკკოში

პარიზი, 5 მაისი. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მიიღო ჰავასის სააგენტომ რაბატიდან (მაროკკო), ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით მომქმედმა გენერალ კოლომბის რაზმმა წარმატებით შეასრულა მოწინავე პოსტებისათვის სურსათის მიწოდების ამოცანა, რამაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ცენტრში პოლკოვნიკ ფრეიდენბერგის რაზმს 4 მაისს ტაუნატის სექტორში გააფთრებული ბრძოლა ჰქონდა რიფების ტომის ძალებთან, რომელთაც თანდათან უკან ახევინებს. დასავლეთის მიმართულებით პოლკოვნიკ კამბეს რაზმმა გაანთავისუფლა მოწინააღმდეგეების მიერ დაკავებული ადგილები კიფონის მახლობლად, სადაც შეტაკებები ჰქონდა მოწინააღმდეგესთან, რომელიც გამოდიოდა კონტრ-იერიშებზე.

უკანასკნელი ცნობებით, პოლკოვნიკ ფრეიდენბერგის რაზმმა მიაღწია უერგს და გაანთავისუფლა რიფების და სხვა ტომთა რაზმების მიერ დაკავებული ადგილები. შუშანის რაიონში თავს იყრიან აჯანყებულები. ფრანგების ზარალი უმნიშვნელოა ძალები, რომლებიც ჰყავს შეტევისათვის აბდულ-ქერიმს, შეადგენენ 20,000 კაცს.

ჩინეთის ამბები

მწარმოებლების საბოტაჟი.

პეკინი, 6 მაისი. კვანტუნის პროვინციის აბრეშუმის ფაბრიკებში კვლავ გრძელდება გაფიცვა. გაფიცულია ასზე მეტი ფაბრიკა. **გაფიცულთა რიცხვი უდრის 20,000 კაცს.**

მწარმოებლებმა გამოაცხადეს ლოკაუტი და უარი განაცხადეს გაფიცულებთან მოლაპარაკების წარმოებაზე. უნაყოფოდ დარჩა კანტონის მთავრობის ცდა ჩაექრო გაფიცვა, რადგან მწარმოებლები განაგრძობენ საბოტაჟს.

მუშებმა თავისი გაიტანეს.

პეკინი, 6 მაისი. 1,500 რკინის გზელის გაფიცვა კანტონ-ხანკოუს რკინის-გზების სამხრეთ-ნაწილში დამთავრდა მუშების გამარჯვებით მუშებმა მიაღწიეს 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, სამუშაო ხელფასის გადიდებას 30 პროცენტით და საექიმო დახმარების დაკანონებას.

ჩჟან-ცზო-ლინი უარს ამბობს თანამშრომლობაზე.

პეკინი, 6 მაისი. სუნ-იატ-სენის შვილმა სუნფომ დეპეშა გაუგზავნა ჩჟან-ცზო-ლინს, რომელშიაც სთხოვა მას თანამშრომლობა გომინდანთან. ჩჟან-ცზო-ლინმა დეპეშაზე უპასუხა, რომ **ის მზად არის ითანამშრომლოს გომინდანის მემარჯვენე ფრთასთან. მაგრამ გადაჭრით ეწინააღმდეგება პარტიის მემარცხენე ფრთის მუშაობას.**

ჩჟან ცზო-ლინი აცხადებს, რომ კომუნისტები და მემარცხენე ფრთა, რომელთაც ეკუთვნის ხელმძღვანელი როლი კანტონის მთავრობაში, შეუძლებლად ხდიან თანამშრომლობას ჩჟან-ცზო-ლინსა და გომინდანს შორის.

კომინტერნის პლენუმის შედეგები

ამხ. ზინოვიევის მოხსენება*)

მე-14 საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე

ბურჟუაზიული წესწყობილება ირყევა

შექმნილი პირობები ამტკიცებენ, რომ მდგომარეობა მერყევია. შეადარეთ ის სურათი, რომელიც შარშან გვქონდა, იმას, რაც ეხლა გვაქვს. ერთი წლის წინათ იყვნენ მაკდონალდი, ერრიო, ებერტი, სამხრეთ-სლავიაში—დავიდოვიჩი, ეხლა კი მათ ადგილებზე ვხედავთ ჩემბერლენს, ჰინდენბურგს, საფრანგეთში—ბრიანს (რადგან ის ფაქტიურათ მთავრობის ხელმძღვანელი იქნება) სამხრეთ-სლავიაში ჩვენ ვხედავთ პაშიჩს—ძველ ნაცნობს მეფის დროიდან. ევროპა აშკარათ შავ სამოსელში ეხვევა. ეს არის ქანაობა მარჯვნივ, რომელსაც აუცილებლათ მოჰყვება ქანაობა მარცხნივ.

ამ დღეებში მუსოლინიმ სენატში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოითხოვდა ახალ კრედიტებს შეიარაღებისათვის. მიმართა რა სენატორებს, მან სთქვა: „ნუ თუ თქვენ გწამთ, რომ 1914—18 წწ. ომი მართლა უკანასკნელი ომი იყო, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ“. ამის საპასუხოთ გაისმა სენატორების საერთო ხმა: „რასაკვირველია, არა“. იტალიის სენატშიც აგრეთვე სხედან საკმაოთ ხანში შესული პირები, რომლებიც ჰასაკისა და სხვა ნიშნების მიხედვით ბევრ რამეში ჰგვანან ჰინდენბურგს. ისინი პირდაპირ და გარკვევით უპასუხებენ: „რასაკვირველია, ომი კიდევ იქნება“. ისინი მართალი არიან. დღევანდელი ცნობა მოგვითხრობს, თუ როგორ სდგას შეიარაღების საკითხი შვეციაში. შვეცია ყველაზე უფრო დამშვიდებული ქვეყანაა, მას მონაწილეობა არ მიუღია საერთაშორისო ომში და ის საკმაოთ დიდი მანძილითაა დაშორებული რევოლიუციის შარა გზიდან; და, წარმოიდგინეთ, ამ ქვეყანაში ეხლა ფიქრობენ, რომ დღეს თუ არა, ხვალ ვილაცა თავს დაესხმება შვეციას. კონსერვატორები გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ შეიარაღების შემცირების წინააღმდეგ. სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოდიან დეპუტაციები, რომლებიც პეტიციებს უდგენენ რიქსდაგს (პარლამენტს) და სამხედრო სამინისტროს შეიარაღების შემცირების წინააღმდეგ. გუშინ ამ საკითხის შესახებ სტოკჰოლმში გაიმართა მიტინგი. სხვა ორატორთა შორის გამოვიდა აგრეთვე სვენ გედინი—ჩიჩერინის ძველი ნაცნობი, რომელიც, სხვათა შორის, ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ყოველ წუთში შეიძლება მოხდეს სამხედრო გართულება. გედინს საბუთებათ მოჰყავს აფეთქება რეველში და სოფიაში; გამოვიდა აგრეთვე გენერალი ლიდერი, რომელიც დამსწრეებს აშინებდა „რუსული საფრთხით“; ის აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირის იერიშები უპირველეს ყოვლისა მიმართული იქნება ალანდიის ნეიტრალური კუნძულების წინააღმდეგ, რომლებსაც ვერ დაიცავენ ვერც ფინეთი და ვერც შვეცია. მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში ხაზგასმულია სტოკჰოლმის გაძლიერებული დაცვის აუცილებლობა, რადგან თავდაცვა, თითქოს, საგრძნობლათ შესუსტებულია შეიარაღების შემცირების პროექტში.

წარმოიდგინეთ—სტოკჰოლმის გაძლიერებული დაცვა! სხვაზე რომ არ ვილაპარაკოთ, სტოკჰოლმს შეუძლია დამშვიდებულათ იყოს. უშუალო საშიშროება მას არ მოელის. მიუხედავათ ამისა, პატივცემული სენატორები ისევე სწრაფად მოქმედებენ, როგორც კომკავშირელები. საჭიროა თურმე სტოკჰოლმის დროზე დაცვა, საჭიროა მისი სამხედრო სიმტკიცის გაძლიერება.

ლლოიდ-ჯორჯიც აგრეთვე ამას წინათ ამბობდა, რომ ის პესიმისტი არ არის, მაგრამ თუ ჩაუკვირდებით იმას, რაც ინგლისში ხდება მეურნეობის სფეროში, მაშინ, მისი აზრით, „თუ არაფერი რადიკალური არ მოხდა, კატასტროფა აუცილებელია“. აი მუსოლინის, შვედების და ლოიდ-ჯორჯის აზრი. ამას მიუმატეთ გენერალურ შტაბების თათბირი რიგაში, მიუმატეთ ამას კიდევ ის ფაქტი, რომ სოფიაში მომხდარ აფეთქების გამო პირდაპირ თოფის წამლის სუნი დადგა ბალკანეთის იმ კუთხეში, რომელმაც დაანთო 1914 წლის ცეცხლი.

თუ ყველა ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ნათელი გახდება, რომ სტაბილიზაცია ჩვენ უნდა ვაღიაროთ და იქიდან უნდა გამოვდიოდეთ, მაგრამ საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ამ სტაბილიზაციის პირობები, ფარგლები და ხასიათი. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ კაპიტალიზმი ეხლაც, შედარებითი სტაბილიზაციის პირობებშიაც კი ვერ იქნება ისე წყნარათ და დამშვიდებულათ, როგორც აკვამში.

ეს ისეთი სტაბილიზაციაა, რომელიც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ქანაობა იწარმოებს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ჩვენ, რომლებიც ვხედავთ ამ ნაწილობრივ სტაბილიზაციას, უნდა დავინახოთ ისიც, რომ ბურჟუაზიული წესწყობილება რყევას განიცდის. ასე უნდა დავაყენოთ ჩვენ სტაბილიზაციის საკითხი, რომ დაუახლოვდეთ სინამდვილეს.

ვლადიმირ ილიჩი ჯერ კიდევ 1915 წელში სწერდა, რომ რევოლიუცია შესდგება ხანგრძლივ ბრძოლებისაგან შეტევის რამოდენიმე პერიოდისაგან, რომელთა შუა ადგილი ექნება ბურჟუაზიული წესწყობილების რყევას.

ეხლა ჩვენ გვაქვს ამ დებულების თვალსაჩინო საერთაშორისო-ისტორიული ილიუსტრაცია. მართლაც რევოლიუცია შესდგება ხანგრძლივ ბრძოლებისაგან, ერთი ბრძოლიდან მეორე ბრძოლამდე გასული დროის განმავლობაში კი ჩვენ ვამჩნევთ ბურჟუაზიული წესწყობილების ქანაობას.

ეხლა ჩვენ განვიცდით ერთ ასეთ კონტრ-რევოლიუციონურ ქანაობას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ეხლა ამ კონტრ-რევოლიუციონურ ტალღებში გვიხდება ჩვენი ნავის წაყვანა. ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს რამოდენიმე წელი და მასში შეიძლება დიდი საშიშროება იყოს ჩვენთვის ჩამარხული. მაგრამ საბოლოო ანგარიშში—ეს მხოლოდ კრუნჩხვაა.

საერთო-რევოლიუციონური თუ უშუალო-რევოლიუციონური მდგომარეობა

ჩვენს თეზისებში, რომლებიც მთლიანად მოიწონა პოლიტ-ბიურომ, ჩვენ ვცდილობდით კომინტერნის აღმასკომზე უფრო შორს წავსულიყავით იმ მხრივ, რომ უფრო სწორათ და დამთავრებულათ ჩამოგვეყალიბებინა საერთაშორისო მდგომარეობა.

მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ცალკე გამოვყოთ სამი მომენტი: რევოლიუციონური სიტუაცია საერთოდ, უშუალო-რევოლიუციონური სიტუაცია და პირდაპირი რევოლიუცია. სამწუხაროთ, ეს მოვლენები არ იყო საკმაო სიცხადით გამოყოფილი კომინტერნის აღმასკომის გაფართოვებულ პლენუმზე. საჭიროა ეს შევასრულოთ ეხლა.

ამას წინეთ გამოქვეყნდა ილიჩის წერილი, რომელიც დაწერილია 1915 წელს; ამ წერილში დახასიათებულია აქსელროდის ერთი გერმანული ბროშიურა. ეს წერილი მხოლოდ ეხლა დაიბეჭდა პირველათ, რადგან საზღვარგარეთ მაშინ არავის არ უნდოდა მისი დაბეჭდვა. ჩემის აზრით, ეს წერილი იძლევა გასაღებს იმ საკითხის წამოსაყენებლად, რომელიც შეეხება რევოლიუციონური სიტუაციის, უშუალო-რევოლიუციონური სიტუაციის და რევოლიუციის გამოყოფას.

აქსელროდი თავის ბროშიურაში, დაახლოვებით, ლაპარაკობდა: „შეიძლება ლენინი მისი ლოზუნგით იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომათ გადაქცევის და ყველა ბურჟუაზიული მთავრობის დამარცხების შესახებ ცოტათ თუ ბევრათ მართალი იყოს, რომ გვქონდეს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ევროპაში ჩვენ გვაქვს ისეთივე რევოლიუციონური სიტუაცია, როგორიც იყო 1901 წელს რუსეთში“.

ლენინმა ხელი ჩასჭიდა ამ განცხადებას. ის სწერს: „აქსელროდის მიერ აღებული მაგალითი უმოწყალოთ აქარწყლებს ჩვენი ოპორტიუნისტის დებულებას. შეეძლო ჭკუადმყოფელი ადამიანს ეთქვა 1901 წელში, რომ გადამწყვეტი ბრძოლა აბსოლიუტიზმთან რუსეთში მოსალოდნელი იყო უშუალოთ? არავის არ შეეძლო და არავინ არ ამტკიცებდა ამას. არავის არ შეეძლო მაშინ სცოდნოდა, რომ 4 წლის შემდეგ მოსალოდნელი იყო ერთერთი გადამწყვეტი ბრძოლა, შემდეგი გადამწყვეტი ბრძოლა კი აბსოლიუტიზმთან შეიძლება მოხდეს 1915—1916 წელში, შეიძლება კი უფრო გვიანაც.

აქ შესანიშნავია ის, რომ ილიჩი დროის განსაზღვრაში არ შესცდა. 1915 წელში ის სწერს, რომ 1916 წელშია მოსალოდნელი მეორე გადამწყვეტი ბრძოლა; ეს ბრძოლა მოხდა 1917 წელს.

ის განაგრძობს ასე: „თუ არავინ არ ამტკიცებდა 1901 წელში, რომ გადამწყვეტი ბრძოლა მოსალოდნელი იყო უშუალოთ, თუ ჩვენ მაშინვე ვამტკიცებდით, რომ კრიჩევსკის და კომპანიის ისტერიული ყვირილი უშუალო ბრძოლის შესახებ სერიოზული არ არის, მაშინ ჩვენ, რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატები, ალბათ, სულ სხვა რამეს ვამტკიცებდით: ჩვენ მაშინ ვამტკიცებდით, რომ მხოლოდ უიმედო ოპორტიუნისტებს შეეძლოთ 1901 წელში ვერ შეეგნოთ მაშინდელი ამოცანა, რომელიც მდგომარეობდა 1901 წლის რევოლიუციონურ დემონსტრაციებისათვის უშუალოთ მხარის დაჭერაში, მათ წაქეზებასა და განვითარებაში და ყველაზე უფრო გადამწყვეტი რევოლიუციონური ლოზუნგების პროპაგანდაში. ისტორიამ გაგვამართლა ჩვენ და მხოლოდ ჩვენ; ისტორიამ გაკიცხა და მუშათა მოძრაობიდან გამორიცხა ოპორტიუნისტები, თუმცა უშუალო გადამწყვეტი ბრძოლა მოსალოდნელი არ იყო, თუმცა პირველი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 4 წლის შემდეგ და მაინც ეს ბრძოლა არ იყო უკანასკნელი, მაშასადამე, არც გადამწყვეტი“.

სწორეთ ასეთი მდგომარეობაა ეხლა ევროპაში. ეჭვს გარეშე, რომ ევროპაში 1915 წელს იყო ისეთი რევოლიუციონური სიტუაცია, როგორსაც ჩვენ ვხედავდით რუსეთში 1901 წელს. ჩვენ არ ვიცით, როდის მოხდება პროლეტარიატის პირველი „გადამწყვეტი“ ბრძოლა ბურჟუაზიასთან ოთხი წლის თუ 2 ან 10 და კიდევ უფრო მეტი წლების შემდეგ, არ ვიცით მოხდება თუ არა კიდევ 10 წლის შემდეგ მეორე „გადამწყვეტი“ ბრძოლა. მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით ვიცით და აშკარათ ვამტკიცებთ ეხლა, რომ ჩვენი დაუყოვნებლივი უშუალო მოვალეობაა—მხარი დაუჭიროთ დაწყებულ მოძრაობას და დემონსტრაციებს. გერმანიაში ბრბო სტვენით შეხვდა შეიდემანს. მრავალ ქვეყნებში გაიმართა დემონსტრაციები სიძვირის წინააღმდეგ.

ეს ორი მომენტი—განსხვავება საერთო-რევოლიუციონურ სიტუაციასა და უშუალო-რევოლიუციონურ სიტუაციას შორის—ჩვენ ეხლა სწორეთ უნდა შევიგნოთ და გაწვრთნოთ მთელი მსოფლიოს მუშები.

რუსეთის ისტორიული გამოცდილება.

თუ ავიღებთ 1902 წლის ჩვენს საკუთარ მაგალითს, მაშინ ნათელი გახდება: რევოლიუციონური სიტუაცია მაშინ იყო. სტუდენტთა გაფიცვები აიძულებდა მემარჯვენე ფრთის ზოგიერთ წარმომადგენლებს, როგორც, მაგალითად, კრიჩევსკის, გონება დაეკარგა და ეყვირა: „მოემზადეთ შეტევაზე გადასასვლელათ—ბრძოლა იწყება“. ილიჩი ცივ წყალს ასხამს მას თავზე და ეუბნება: „ეს ჯერ კიდევ არ არის ისტორიული გადახრა, ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ კრიჩევსკის „ისტერიული“ გადახრა“.

1902 წელში საერთო რევოლიუციონურ სიტუაციას ლენინი ყველაზე უფრო ნათლათ ხედავდა. 1905 წელში ჩვენ უკვე გვქონდა უშუალო-რევოლიუციონური სიტუაცია. მაშინ ილიჩი მოუწოდებს მუშებს; „მოემზადეთ საბრძოლველათ“. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გადადის უშუალო-რევოლიუციონური სიტუაცია 1905 წლის რევოლიუციაში; მაგრამ რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა.

1906 წელში ლენინი და ბოლშევიკური პარტია განაგრძობენ მტკიცებას, რომ უშუალო-რევოლიუციონური სიტუაცია არ გამქრალა. თქვენ გახსოვთ, თუ როგორ დასცინოდენ ზოგიერთი მენშევიკები ილიჩს, რომ მან, როგორც ისინი ამბობდენ, გლეხების აჯანყება დანიშნა საველე მუშაობის შემდეგო. მართლაც ილიჩი სწერდა, რომ გლეხები საველე მუშაობის დამთავრების შემდეგ უფრო მოეხმარებიან მუშებს. მენშევიკები იცინოდენ ამის გამო და ამბობდენ, „საველე მუშაობა გათავდა და თქვენი აჯანყება რატომღაც არ ჩანს“. 1907 წელში ბოლშევიკები ფიქრობდენ, რომ მეორე რევოლიუცია ჩქარა დაიწყებოდა და გამოდიოდენ იმ დებულებიდან, რომ არსებობს მწვავე უშუალო-რევოლიუციონური სიტუაციაო. 1908 წელში ბოლშევიკებმა აღიარეს, რომ უშუალო-რევოლიუციონური სიტუაცია აღარ არის. მაგრამ საერთო-რევოლიუციონური სიტუაცია მაინც რჩება. მეორე რევოლიუცია მოდის. მთელს ჩვენს ტაქტიკას ჩვენ სწორედ ამ მომავალი რევოლიუციის განსჭვრეტაზე ვაგებდით.

ასეთ მოვლენას ვხედავთ ჩვენ ეხლა გერმანიაში და რამოდენიმედ ბალკანეთზე. სულ სხვა სტადიაშია საქმე, მაგალითად, ინგლისში, სადაც მხოლოდ ეხლა იქმნება საერთო-რევოლიუციონური სიტუაცია.

პოლიტიკური შარლატანები მეორე ინტერნაციონალიდან სცდილობენ საქმე ისე დასურათონ, თითქოს კომინტერნის გაფართოვებულ აღმასკომის სხდომაზე ჩვენ საერთოდ ვაღიარეთ, რომ არავითარი რევოლიუციონური სიტუაცია არ არის, თითქოს მოხსნილია რიგიდან საკითხი საერთაშორისო რევოლიუციის შესახებ. ისინი სცდილობენ დაარწმუნონ მუშათა კლასი, რომ ჩვენ ვაღიარეთ არა რევოლიუციის შენელებული ტემპი, არამედ მთელი ამ პერსპექტივის დამარცხება. ამაშია გაიძვერობა მეორე ინტერნაციონალისა, რომელიც ამ საკითხში სამსახურს უწევს ბატონ ბურჟუებს.

ომების და რევოლიუციების ეპოქა.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ ჩვენმა პარტიამ, რომელსაც აქვს მდიდარი ისტორიული გამოცდილება, განსაკუთრებული კონკრეტიულობით უნდა აღნიშნოს ეხლა, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ რევოლიუციონური სიტუაცია საერთოდ და უშუალო-რევოლიუციონური სიტუაცია. საჭირო არ არის ილიუზიების გავრცელება. უნდა ვაღიაროთ, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა, რომელიც 1923 წელში ამბების ცენტრში იდგა, უშუალო-რევოლიუციონური სიტუაცია არ არის, მაგრამ საერთო-რევოლიუციონური სიტუაცია, როგორც მთელს ევროპაშიაც, უეჭველად დარჩა. ის საერთაშორისო მასშტაბით მწვავდება ნელა, მაგრამ მტკიცედ: ეს გამწვავება იწყება აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და მას ხელს უწყობს კოლონიალური საკითხი. ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და არ უნდა დავკარგოთ რევოლიუციონური პერსპექტივა.

მახსოვს, 1918 წელში რენეგატ კაუტსკის ილიჩი იჭერდა სიტყვებზე და ამბობდა: „ოდესღაც შენ მარქსისტი იყავი და 1900 წელში „აღიარებდი“, რომ ევროპა რევოლიუციას უახლოვდებაო. 1902 წელს წიგნში „სოციალური რევოლიუცია“ შენ აგრეთვე აღიარებდი, რომ ევროპა რევოლიუციონურ მდგომარეობას განიცდისო. გასაგებია, რომ ჩვენ ეხლა შეგვიძლია ამის თქმა გაცილებით უფრო მეტის უფლებით, რადგან მდგომარეობა ევროპაში გაცილებით უფრო მწვავეა, ვიდრე 1902 წელს იყო. ომების და რევოლიუციების ეპოქა არ შეწყვეტილა და ჩვენ ვდგევართ ამ ეპოქის არა „ბოლოთა ბოლოში“, არამედ „დასაწყისთა დასაწყისში“. მდგომარეობა ევროპაში რევოლიუციონურია არა მარტო იმ მხრივ, რომ კაპიტალიზმმა საერთოდ უნდა შექმნას რევოლიუციონური პირობები, არამედ იმ მხრივაც, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ კაპიტალიზმი უფრო მეტი წინააღმდეგობებით არის დასერილი, ვიდრე ეს იყო ომამდი, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე არსებობს საბჭოთა ხელისუფლება, რომ აღმოსავლეთის საკითხი, საკითხი დაჩაგრული ერების შესახებ გაცილებით უფრო მწვავეთ სდგას, ვიდრე აქამდი იყო.

კაპიტალიზმი და საბჭოთა კავშირის სტაბილიზაცია

რომ უფრო სისწორით გავიგოთ კომინტერნის გაფართოვებული აღმასკომის გადაწყვეტილებათა აზრი, საჭიროა ვილაპარაკოთ არა ერთ, არამედ ორ სტაბილიზაციაზე: კაპიტალისტური წესწყობილების სტაბილიზაციაზე და საბჭოთა კავშირის სტაბილიზაციაზე.

ერთმა ამხანაგმა, რომელიც ალბათ, მოწაფეთა რიცხვს ეკუთვნის, გამომიგზავნა მე წერილი, რომელშიაც ის სწერს: „ჩვენი მეურნეობის სტაბილიზაცია არის ერთი მთლიანი საერთაშორისო მეურნეობის ნაწილის სტაბილიზაცია, რამდენადაც ჩვენ შემადგენელ რგოლათ შევდივართ საერთაშორისო მეურნეობის საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ამიტომ, რომ ჩვენი მეურნეობის სტაბილიზაცია სრულებით არ ნიშნავს ბურჟუაზიული ქვეყნების პროპორციონალურ დაშლას. ამით შეიძლება ვისარგებლოთ მხოლოდ აგიტაციისათვის“.

ის ამ აზრს გამოსთქვამს წმინდა „აკადემიურათ“: ჩვენი სტაბილიზაცია სრულებით არ ნიშნავს ბურჟუაზიული ქვეყნების პროპორციონალურ დაშლას. „პროპორციონალური“ დაშლა შეიძლება არც არის, მაგრამ იმ ფაქტიდან, რომ ჩვენ გვაქვს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, რომელიც ვაჭრობას აწარმოებს კაპიტალისტურ ქვეყნებთან, ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ ის ბურჟუაზიული მეურნეობის შემადგენელი ნაწილიაო,—ეს შეცდარი შეხედულებაა.

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი“ №№ 100, 101.

[illegible] კომპლექტი

ოფიციალური ცნობა

ვინაიდან მე და ჩემი მოადგილენი მივემგზავრებით საბჭოთა კავშირის მესამე ყრილობაზე დასასწრებლად, ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას ვავალებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს ამხ. ნაზარეტიანს.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

პარტიული ცხოვრება

კომუჯრედი № 49

ამას წინად შესდგა საბჭოთა პარტსკოლის უჯრედის გაერთიანებული კრება ახალგაზრდა კომკავშირის უჯრედთან ერთად. კრებას დაესწრენ უკლებლივ ყველა ამხანაგები. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება ქალაქის რაიკომის მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ, პარტიაში მიღება და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა მეოთხე რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. აკოფოვმა. მან ვრცლად დაახასიათა რაიკომის მომავალი მუშაობის გეგმა, აღნიშნა ის არანორმალური მოვლენები და დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს ზოგიერთ საბჭოთა უჯრედებში; კერძოდ ის, თუ როგორ საგრძნობლად მოისუსტებს საბჭოთა უჯრედებში შინაპარტიული საქმიანობა, დასასრულს შეეხო მომავალი ბიუროების არჩევნებს და სთქვა, რომ შემდეგისათვის აუცილებლად საჭიროა უარყოფილ იქნას შაბლონური მიდგომა ბიუროს არჩევის დროს. ბიუროში ჩაბმულ უნდა იყვნენ უჯრედის მოწინავე და აქტიური წევრები, ვინაიდან ბიუროს კარგი შემადგენლობით განისაზღვრება უჯრედის კარგი და ნაყოფიერი მუშაობაო.

შეკითხვების შემდეგ გაიმართა კამათი. დაბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ კომუჯრედის კრება ქალაქის რაიკომის მიერ აღებულ ხაზს მომავალი მუშაობის შესახებ სცნობს სწორად.

დასასრულ გარჩეულ იქნა სამი ამხ. განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

პატკორი **გოგოლაშვილი.**

პარტმუშაობა ასურეთის რაიონში

(თბილისის მაზრა)

ამ ჟამად ასურეთის რაიკომი აერთიანებს სულ ხუთ უჯრედს. მართალია ორგანიზაცია თუმცა რიცხვობრივად პატარაა, სამაგიეროდ ის მეტად აქტიური და ავტორიტეტიანია თავის მუშაობით გლეხობაში. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ უპარტიო გლეხობაში კომპარტიისაკენ ლტოლვა ძლიერ დიდია.

რაიონში არის ა. ლ. კ. კ. რაიკომიც, რომელიც აერთიანებს სულ 9 უჯრედს, სადაც წევრთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 150. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დამთავრდა კურსების მეცადინეობა, რომელმაც მეტად ხელი შეუწყო კომკავშირელ აქტივისტთა კადრის შექმნას,—საგრძნობლად გამოცხოველდა.

ქალთა შორის მუშაობა ძლიერ მოისუსტებს, რადგანაც რაიონში არ არის ქალთა შორის მომუშავე, ორგანიზატორი. თუმცა, მართალია, თვით რაიკომი არსებული ძალებით აწარმოებს ამ მიმართულებით მუშაობას, მაგრამ ნაყოფი მაინც უმნიშვნელოა. საჭიროა მომავალში ამ გარემოებას მიექცეს სერიოზული ყურადღება პარტიის ცეკასთან არსებულ ქალთა განყოფილების მიერ.

რაიონში არის 3 კლუბი და ოთხიც ქოხ-სამკითხველო, რომლებშიაც გაზეთები მოიპოვება საკმაო რაოდენობით. მხოლოდ ცენტრალურ კლუბს არა ჰყავს საკუთარი გამგე, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა, რომ პოლიტგანმა დანიშნოს კლუბის გამგე თავის ხარჯზე, რათა კლუბში გაძლიერებული იქნას აღმზრდელობითი მუშაობა.

ც—ძე.

პარტიული მუშაობა განძის რაიონში

განძის პარტიული ორგანიზაცია თავის გარშემო აერთიანებს 83 წევრს. პარტწევრებისათვის დაარსებულია პოლიტიკური წრე, სადაც თვეში სამჯერ მიმდინარეობს მეცადინეობა რაიკომის საერთო ხელმძღვანელობით.

ადგილობრივი პარტმუშაკების სათანადოთ მოუმზადებლობის გამო ხშირად ხდება ზოგიერთი შეცდომების დაშვება. მთელი ორგანიზაციული და ტეხნიკური ხასიათის სამუშაოს შესრულება უხდება რაიკომის მდივანს, რომელიც მრავალი საქმეებით დატვირთვის გამო ვერ სწვდება ყველა სამუშაოებს, რის გამოც ზოგიერთ ალაგას მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ ზოგიერთ თემებში მოხდა კომუჯრედების 3 | მგ. მდივნების გამოცვლა—ძველი ბიუროებითურთ და ამ უკანასკნელ ხანებში ორგანიზაციებსაც დაეტყოთ ერთგვარი გამოცხოველება.

მუშაობა ქალთა შორის.

მუშაობა ქალთა შორის ვერ მიმდინარეობს სასურველად, რაც უმთავრესად აიხსნება ქალთა განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობით, კულტურულ-განმანათლებელ და საზოგადოებრივ ხასიათის სამუშაოებში ქალების მეტად უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული. რაც შეეხება ქალების დასწრებას კომუჯრედების ღია კრებებზე და პოლიტ-წრის მეცადინეობაზე ეს იშვიათი მოვლენაა. საჭიროა მომავალში ამ გარემოებას მიექცეს სერიოზული ყურადღება. კერძოდ კი აუცილებელია, რომ კომპარტიის და კომკავშირის წევრების ცოლებმა და საერთოდ მათი ოჯახის წევრებმა ყოველმხრივ მაგალითი უჩვენონ უპარტიო ქალების მასებს.

კ. პ—ია.

ის ფაქტი, რომ ჩვენ შემადგენელი ნაწილი აღმოვჩნდით საერთაშორისო ურთიერთობაში, მოწმობს იმას, რომ ჩვენ ძლიერი ვართ. მაგრამ ის, რომ ჩვენ ვაშენებთ ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას, ჩვენებურათ ვაშენებთ მას და გვაქვს სწორი პერსპექტივა იმისა, თუ როგორ უნდა ავაშენოთ ის შემდეგ, ეს ფაქტი თავის თავად ძირს უთხრის ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

საკითხი საერთაშორისო რევოლიუციის შესახებ ერთი წამითაც არ შეიძლება დაუკავშიროთ რევოლიუციას იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატმა უკვე გაიმარჯვა. ეს პრობლემა დასმულია რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე და ის თანდათან უფრო რთულდება და მწვავდება. როდესაც კომინტერნის გაფართოვებულმა აღმასკომმა აღიარა, რომ დაიწყო კაპიტალისტური მეურნეობის ნაწილობრივი სტაბილიზაცია, ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. პასუხი ნათელია. ჩვენი მეურნეობა რომ არ განმტკიცებულიყო, ჩვენ გვექნებოდა თავისებური „მაკრატელი“, ჩვენ დავინახავდით მაკრატლის პირების საგრძნობლათ დაშორებას, დავინახავდით, თუ როგორ დაიშლებოდა ჩვენი მეურნეობა, როგორ დავსუსტდებოდით ჩვენ, საერთაშორისო ბურჟუაზია კი განმტკიცდებოდა. ჩვენ ამ შემთხვევაში ქვევით დავეშვებოდით, ისინი კი მაღლა წავიდოდენ.

ამისი ყველაზე უფრო ეშინოდა ლენინს. გახსოვთ როგორის აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ის მეოთხე კონგრესზე ჩვენი ფულის რეფორმის პირველი შედეგების შესახებ და ამისდამიხედვით ჰქმნიდა ჩვენი მეურნეობის განვითარების ნათელ პერსპექტივებს. ის ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან ხედავდა პირდაპირ კავშირს საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებასა და ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განმტკიცებას შორის. აღვნიშნავთ რა ნაწილობრივ სტაბილიზაციას მოწინააღმდეგის ბანაკში, ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ჩვენში საქმე წინ მიდის, წინ მიდის არა მარტო წარმოების ზრდის მხრივ საერთოდ, არამედ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდის მხრივაც.

აი ამიტომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა ერთ, არამედ ორ სტაბილიზაციაზე, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება ერთ ქვეყანაში მის ამოცანებს მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან შეფარდებით—ეს უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა ჩვენს წინაშე დასმულია აქტუალურათ. ეს ამოცანა თეორიულად გადაწყვეტილია ლენინის მიერ. ჩვენ ჩვენს თეზისებში ვცდილობდით თავიდან აგვეშორებია ყოველგვარი შესაძლებელი გამოკამათება, ვცდილობდით სრულად გაგვეშუქებია ეს საკითხი ყოველგვარი თვალსაზრისით და ამიტომ შევეცადეთ ამ კითხვაზე პასუხი გაგვეცა თვით ლენინის ციტატებით.

ორი სტაბილიზაცია ლენინის განმარტებით.

მე არაფერი მაქვს დასამატებელი იმისათვის, რაც უკვე ნათქვამია თეზისებში ამ საკითხის შესახებ. გირჩევთ შეისწავლოთ ეს თეზისები. მინდა მოგაგონოთ მხოლოდ ქრონოლოგია.

ლენინმა ეს საკითხი პირველად წამოაყენა 1915 წელში; მაშინ ის ამბობდა, რომ რევოლიუცია შესდგება ხანგრძლივი ბრძოლებისა და რამოდენიმე პერიოდისაგან, რომელთა შუა ადგილი ექნება კონტრ-რევოლიუციონურ ქანაობას. წერილში, რომელიც დაბეჭდილია კრებულში „პროტივ ტეჩენია“ და რომლიდანაც ჩვენ არა ერთხელ ამოგვილია ციტატები, ლენინი, იბრძოდა რა კაუტსკის და ნაწილობრივ ტროცკის თეორიის წინააღმდეგ, ასაბუთებდა თავის კანონს კაპიტალიზმის შესახებ, რომელიც აწესებს მის არა თანაბარ განვითარებას. ლენინი ეყრდნობა ამ კანონს და სწერს წიგნს იმპერიალიზმის შესახებ.

1917 წელში, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ცნობილ წერილში შვეიცარიის მუშების მიმართ ლენინი განმარტავს რუსეთის რევოლიუციის პროგრამას, სადაც ამბობს, რომ „რუსეთის პროლეტარიატს არ შეუძლია მარტო თავისი ძალებით გამარჯვებით დააგვირგვინოს სოციალისტური რევოლიუცია, მას შეუძლია მხოლოდ დაიწყოს ის“.

განსაკუთრებით მწვავედ არის დასმული ეს საკითხი ლენინის მთელ რიგ გამოსვლებში ბრესტის ზავის დროს და ჩვენი პარტიის მეშვიდე ყრილობაზე.

(დასასრული ხვალ)

გლეხკომების ყრილობა

მეხუთე სხდომა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი და გლეხკომები

(მომხსენებელი ამხ. ჟვანია)

სასოფლო-მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა

ჩვენს სასოფლო-მეურნეობას ამბობს მომხსენებელი, საფუძვლად უდევს პურეულობის, ხორბლეულობის კულტურა; რომელსაც აქა-იქ ემატება მთელი რიგი დამხმარე ძვირფასი დარგებისა. ამ დამხმარე დარგებს ჩვენში ალაგ-ალაგ მთავარი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: კახეთში ძლიერ განვითარებული მევენახეობა, ლიახვის ხეობაში—ხილეულობა, აფხაზეთში — თამბაქოობა, ომამდე ჩვენი ნაწარმოები განსაკუთრებით, ძვირფასი კულტურის ნაწარმოები ვერ ეტეოდა საქართველოს ბაზრის ჩარჩოებში. ამ ნაწარმოების უმეტესობა გაჰქონდათ საზღვარ-გარეთ. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შემდეგ ძვირფასი კულტურა საქართველოში სავსებით დაეცა. 1923 წელს ჩვენ გვქონდა თითქმის ნატურალური მეურნეობა. დაცემული იყო როგორც შემსყიდველობითი, ისე გამყიდველობითი უნარი მოსახლეობის სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესი იწყება ჩვენში მხოლოდ 1923 წლიდან. ეს აღდგენა მიმდინარეობს მეტად ნელი ნაბიჯით.

საქართველოს სასოფლო-მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა გვავალებს მოვახდინოთ მობილიზაცია ყველა ცოცხალი ძალების ერთ-ერთ ასეთ ძალათ ჩვენ მივაჩნია გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები. ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში გლეხკომებს შეუძლიათ დიდი დახმარების აღმოჩენა.

მიწად-მოწყობა.

ჩვენს მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს მიწად-მოწყობის მოუწესრიგებლობა; გლეხი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მიწას მას არავინ არ ჩამოართმევს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება, გლეხმა კეთილსინდისიერად დაამუშაოს ადგილ-მამული. წინეთ მემამულიდან იჯარით აღებულ მიწას არ ამუშავებდა გლეხი ისე, როგორც წესი და რიგი იყო. სამაგიეროთ იგი მშვენივრად უვლიდა საკუთარ მამულს. მიწის მოწყობის საკითხი ჩვენში სამწუხაროდ ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს. ამის მიზეზია ჩვენი სიღარიბე. საქართველოში ჩვენ გვჭირია 172 მიწისმზომელი, გვყავს კი 42, ეს გარემოება ჩვენი სიღარიბის ბრალია: გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების დახმარება სწორედ ამ საქმეში გვესაჭიროება.

გლეხკომების დაინტერესება სოფლის მეურნეობის დარგში.

გლეხკომი არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს, აერთიანებს გლეხობას. ამიტომ მიწა გლეხკომმა უნდა დაამუშაოს კოლექტიურად, შეკავშირებული ძალებით. გლეხკომმა ხელი უნდა შეუწყოს ამხანაგობების, არტელების და კომუნების მოწყობას დაარსების სახით. თუ თქვენ შეერთებულ შეკავშირებულ ძალით აწარმოებთ მიწების ექსპლოატაციის საქმეს, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი დიდი ხალისით გადმოგცემთ თქვენ დასამუშავებლად თავისუფალ მიწებს. მხედველობაში უნდა იქონიოთ ის გარემოება, რომ ჩვენ გვაკლია 470.000 დესეტინა მიწა იმისათვის, რომ საქართველოს გლეხკაცობა დავაკმაყოფილოთ მიწის დაწესებული ნორმით. ასეთ პირობებში გლეხკომებს ვერ მივსცემთ მიწებს იჯარით გასაცემად.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გლეხკომები მომავალში ხელს შეუწყობენ კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას. ამ ყრილობამ საძირკველი უნდა ჩაუყაროს ჩვენს დაახლოვებას, დაკავშირებას. ეს კავშირი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა და გლეხკომებს შორის ხელს შეუწყობს ჩვენ მეურნეობის აყვავებას და განვითარებას.

მეექვსე სხდომა

გლეხთა ცენტრალური სახლის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. დ. ნასარიძე)

მომხსენებელი ყრილობას აცნობს გლეხთა ცენტრალური სახლის დანიშნულებას, მისი დაარსების ისტორიას, სახლის დღევანდელ მდგომარეობას და პირობებს. შემდეგ მოკლე მიმოხილვას უკეთებს გლეხთა ცენტრალური სახლის მუშაობას დაარსებიდან, ე. ი. 6 აპრილიდან უკანასკნელ დრომდე.

1-ლ მაისამდე სასახლეში გაიარა 542 კაცმა, მათ შორის საზოგადო კერძო საქმეებზე ჩამოსულნი—245, დელეგატები—297. ყველაზე უფრო მეტი რიცხვი გლეხებისა, დელეგატების გარდა, ჩამოვიდა შემდეგ მაზრებიდან: სიღნაღის, შორაპნის, გორის და თბილისის.

სიღნაღის მაზრიდან სულ ჩამოვიდა—46 კაცი. ამ რიცხვში ავადმყოფები 23, კოოპერატიულ და საზოგადო საქმეების გამო—9, სასამართლოს საქმეებზე—3, ბინის საკითხზე—11 კაცი.

თბილისის მაზრიდან ჩამოვიდა—46 კაცი. ამ რიცხვში მიწის საკითხზე—21, კოოპერაციის და საზოგადოებრივ საქმის გამო—25 კაცი.

გორის მაზრიდან ჩამოვიდა—47 კაცი, მათ შორის ავადმყოფები—9 კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საქმის გამო—18, სასამართლოს გამოძახებით—20.

შორაპნის მაზრიდან—38 კაცი. აქედან მიწისა და სახლების ჩამორთმევის შესახებ—11, სასამართლოს გამოძახებით—27.

აღმოუჩინა დახმარება რჩევა-დარიგებით, ქაღალდების შედგენით, საავადმყოფოში მოთავსებით და დაწესებულება-ორგანიზაციებში შუამდგომლობით სულ—180 კაცს.

მოხსენებებზე, რომლებიც იმართებოდა სასახლესთან, სხვადასხვა დარგებში დაესწრენ სულ—207 კაცი.

აღმოუჩინა დახმარება: სიღარიბის გამო ფულად—12 კაცს—25 მ, სიღარიბის გამო—ბინის უსასყიდლოდ მიწოდებით—25 კაცს.

1-ლ მაისამდე სასახლის ბაღში გაჩერებულა მსხვილფეხა საქონელი უმეტეს შემთხვევაში ფშავ-ხევსურელებისა (ცხენები)—50 სული.

წიგნთ-საცავ-სამკითხველოთი ისარგებლა—250 კაცმა.

მუზეუმები ინახულა—100 კაცმა.

სადილი და ვახშამი საანგარიშო დროის განმავლობაში მიიღო სულ—1.500 კაცმა.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(ამხ. პ. ჯაფარიძის მოხსენება)

მოგეხსენებათ, რომ შარშან გადასახადი დიდი იყო შედარებით წინა წელთან ამბობს მომხსენებელი. შარშანწინ ჩვენმა გლეხობამ გადიხადა 2 მილიონი მანეთი, ხოლო შარშან შევაწერეთ მას 4 მილიონი მანეთი. ეს მოვლენა აიხსნება ჩვენი მეურნეობის წინსვლით, გაჯანსაღებით. გლეხის ნივთიერმა კეთილდღეობამ 1924 წელში წინ წაიწია 1923 წელთან შედარებით. აი რამ გამოიწვია გადასახადის გადიდება. როგორც იცით, შარშან ზოგიერთ მაზრებში ადგილი ჰქონდა მოუსავლობას. ეს გარემოება მივიღეთ მხედველობაში და გადასახადი შევამცირეთ. 4 მილიონის ნაცვლად ჩვენმა გლეხობამ გადიხადა 3 მილ. მიმდინარე წელს განზრახული გვაქვს კიდევ უფრო შევამციროთ გადასახადი.

გადასახადი შემცირებულია მთელს კავშირში. 924 წელში საბჭოთა კავშირის გლეხობამ გადიხადა 400 მილიონი გადასახადი, წელს გადიხდის იგი 275 მილ. მანეთს. აქედან ამიერ-კავკასიას მოუწევს დაახლოებით 6—7 მილ., ხოლო საქართველოს 2 ნახ. მილიონი.

წარსულ წელს გვესმოდა საყვედურები გლეხებისაგან. მართლაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შარშანდელ კამპანიას თან ახლდა მრავალი ნაკლულოვანებანი. ხშირი იყო შემთხვევები, რომ შეძლებული გლეხი გაცილებით ნაკლებ გადასახადს იხდიდა, ვიდრე ღარიბი გლეხი. ამ დღეებში მოსკოვში შესდგა თათბირი სასოფლო-სამეურნეო საკითხის მოწესრიგების შესახებ და იქ გამოირკვა, რომ შეცდომას და ნაკლულოვანებებს ყველგან ჰქონია ადგილი.

ამხანაგებო! გლეხკომების მოვალეობა დიდია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეში. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ და ხელი შეგვიწყოთ, რომ უმტკივნეულოდ ჩავატაროთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია. გვჯერა, რომ სოლიდარული მუშაობით ჩვენ შევსძლებთ სრულიად მოვსპოთ ის დეფექტების და გაუგებრობანი, რომელთაც ჰქონდათ ადგილი შარშან.

საქართველოს პროფკავშირთა კულტკონფერენცია

კონფერენციის გახსნა.

5 მაისს საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა კულტკონფერენცია.

კულტკონფერენცია გახსნა საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს კულტგანყოფილების გამგემ ამხ. ქელიძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დელეგატებს გააცნო კულტკონფერენციის მიზნები და ამოცანები.

კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტრაგიკულად დაღუპული ამხანაგების მიასნიკოვის, მოგილევსკის, ათარბეკოვის და აგრეთვე ნარიმანოვის, ჟარლევსკის და არუსიაკ ცინცაძის ხსოვნას.

დღის წესრიგი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მუშაობის ანგარიში, მოხსენებანი ადგილებიდან, მოხსენებანი საკლუბო მუშაობის, წითელი კუთხეების, საკავშირო ფიზკულტურის, პროლეტარულ კინოორგანიზაციების, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის ლიკვიდაციის და პროფსაბჭოს საგამომცემლო მუშაობის შესახებ.

გამოფენა.

კონფერენციაზე ჩამოსულ ამხანაგ დელეგატებისათვის თბილისში წარმოებულ კულტმუშაობის მეთოდებთან და დაყენებასთან გასაცნობად, მუშათა ცენტრალურ კლუბში მოწყობილია კედლის გაზეთების, საინსტრუქციო ლიტერატურის და დიაგრამების გამოფენა.

მათხოჯის სახალხო სახლის აღსადგენად

მათხოჯის სახალხო სახლის სააღმშენებლო საბჭომ მოსკოვიდან დეპეშით მიიღო ცნობა, საკავშირო ცაკის მიერ 10,000 მან. გადადების შესახებ მათხოჯის სახალხო სახლის აღსადგენად. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ცაკი მომავალშიც მიიღებს მონაწილეობას ამ სახლის აღდგენაში. ამ ჟამად სწარმოებს გაცხარებული მუშაობა სახლის აღსადგენად.

საბჭოთა კავშირის რკინისგზის სანიტ. ექიმთა მესამე ყრილობა

მეორე სხდომა.

4 მაისის საღამოს პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექ. **კაზანსკის** (დელეგატი მოსკოვიდან) მოხსენება სატრანსპორტო-სასანიტარო ორგანიზაციის ცხოვრებასა და საქმიანობაში მომხდარი ძირითად ცვლილებების შესახებ; თანამოხსენებანი ექ. **ეფიმოვის** (დელეგატი ხარკოვიდან), უკრაინის სატრანსპორტო სასანიტარო ცხოვრებასა და საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ; ექ. **ზედგინიძის** (თბილისი) საქართველოს სასანიტარო სატრანსპორტო ორგანიზაციის ცხოვრებაში და მუშაობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ. მოსმენილ იქნა აგრეთვე ექ. **პოპოვის** (მოსკოვ-კურსკის რკინის გზა) მოხსენება ტრანსპორტზე სამკურნალო დახმარების პროფილაქტიზაციისა და მასში სანიტარული და უბნის ექიმის მონაწილეობის შესახებ.

მომხსენებელთ აძლევდენ შეკითხვებს.

მესამე სხდომა.

5 მაისის დილის სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს ექ. **ეფიმოვმა** ტრანსპორტის მედიკურ-სანიტარული ორგანიზაციების უახლოეს ამოცანებზე პროფესიონალურ დაავადმყოფებათა შესწავლისა და მათთან ბრძოლის საქმეში; ამხ. **სოლოვიოვმა** (ნიჟნი-ნოვგოროდიდან) პროფესიონალურ დაავადმყოფებათა და მავნებლობათა შესწავლა წყლის ტრანსპორტზე, და ამხ. **დემტიარევმა** (ჩრდილოეთის რკინის გზა) საბინაო საქმის მდგომარეობის შესახებ ტრანსპორტზე, სასანიტარო-საბინაო მეთვალყურეობის მოწყობა და სხვა.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: სახაროვმა, სმირნოვმა, კაძინსკიმ, უგლოვმა, დეიჩმეისტერმა, კაზანსკიმ, ედიგაროვმა, გუბარევმა, როზოვმა და სხვა.

საგლეხო სესხი

პირველმა საგლეხო სესხმა დიდი პოპულიარობა მოიპოვა საერთოდ მთელს საბჭოთა კავშირში. ის ფართოდ გავრცელდა საქართველოშიაც აქამდის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასასტუმრებლად შემოტანილ ობლიგაციების ღირებულება უდრის 200,000 მანეთს. თუ ვივარაუდებთ დაახლოებით იმ 100,000 მანეთის ობლიგაციებს, რომლებიც მცხოვრებლებს კიდევ აქვთ იმას გარდა დატოვებული თავის განკარგულებაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში განაღდებულია თითქმის 300,000 მანეთის ობლიგაციები, რაც ძალიან საგრძნობ რაოდენობას წარმოადგენს.

ეს ციფრი მოწმობს ერთის მხრით იმას, თუ რამდენათ სცდილობს მთავრობა გაუადვილოს გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოტანა, ხოლო მეორე მხრით რამდენად შეიგნო გლეხობამ ხელისუფლების ეს მისწრაფება.

სახელმწიფო, მიუხედავათ იმისა, რომ ეს გადასახადის შემამსუბუქებელი ზომები ბევრად ამცირებს სახელმწიფო შემოსავალს, მაინც არ გაურბის ასეთ ზომებს. მას ეხლაც განზრახული აქვს ასეთივე დახმარება აღმოუჩინოს გლეხობას.

ახლო მომავალში გამოშვებული იქნება 5 პროცენტიანი საგლეხო განმეორებითი მომგებიანი სესხი. ეჭვს გარეშეა, რომ სოფლის მშრომელი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტი თანაგრძნობით და შეგნებით შეხვდება მთავრობის ამ ღონისძიებას, რადგან გლეხობა თვითვე დარწმუნდა სესხის სარგებლობაში. სესხის ობლიგაციების შეძენით ის თვითონაც სარგებლობს და მთავრობასაც საშუალებას აძლევს მოახმაროს სახელმწიფოში დაგროვილი სიმდიდრე საბჭოთა აღმშენებლობას და შემდეგ უკანვე დაუბრუნოს მოსახლეობას თავისივე თანხები მოგებით—პროცენტების სახით.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის თბილისში

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა დღის აღსანიშნავად 5 მაისს საღამოს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა თბილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთო-საქალაქო კრება.

კრებამ სხდომის დასაწყისშივე ფეხზე ადგომით პატივი სცა პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. ლენინის, ტრაგიკულად დაღუპულის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრის ამხ. მიასნიკოვის, ათარბეკოვის, მოგილევსკის და ახლად გარდაცვლილი არუსიაკ ცინცაძის ხსოვნას.

ამხ. ვარდინის მოხსენება.

შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. ვარდინ-გელაძის მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის დღევანდელ ამოცანებზე. მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. ვარდინი შეჩერდა საბჭოთა და კომუნისტური პრესის თავისებურებაზე, გაატარა პარალელი ერთი მხრივ წითელი პრესის და მეორე მხრივ ბურჟუაზიულ და მენშევიკურ პრესის განსხვავებებს შორის. შემდეგ მომხსენებელი გადადის ევროპის დღევანდელ მდგომარეობის დახასიათებაზე. აღნიშნავს კაპიტალიზმის დროებით განმტკიცებას, ამავე დროს ხაზს უსვამს მუშათა მოძრაობის ზრდას, და ერთიანი ფრონტის შექმნის მოახლოვებას. შემდეგ მომხსენებელი მოკლეთ ჩერდება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების დამოკიდებულებაზე დღეს ფეხგამაგრებულ კაპიტალიზმის მიმართ. მოხსენების შემდეგ ნაწილში ამხ. ვარდინი ახასიათებს საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას, ეხება სამეურნეო აღორძინებას, გლეხთა საკითხს და სხვა. გზა და გზა მომხსენებელი აცნობს კრებას, თუ როგორი უნდა იყოს მუშათა პრესის ამოცანები. ამხ. ვარდინის თქმით, საბჭოთა რესპუბლიკებში თითქმის არავითარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიისა და მუშურ-გლეხური პრესის ამოცანებს შორის. როგორიც არის პარტიის პოლიტიკა ამა თუ იმ საკითხში, ისეთივე უნდა იყოს საბჭოთა პარტიულ პრესის საქმიანობაც. ეხება რა ზოგადათ პრესის ამოცანებს საბჭოთა ცხოვრების ამ უახლოეს პერიოდში, მოხსენებელი ვრცლად ჩერდება აგრეთვე ა | კავკასიის პრესის განსაკუთრებული ამოცანებზე, რომელნიც შეიცავენ ეროვნული საკითხის სწორ გადაწყვეტას და საბჭოთა რესპუბლიკების აღმოსავლეთის პოლიტიკისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას.

მიცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ კრება იშლება.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში

სასოფლო-სამეურნეო გამასესხებელი საზოგადოებების

ძირითად თანხების გასაძლიერებლად გადადებული 265 ათასი მან. ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ შემდეგნაირად გაანაწილა: საქართველოს—65 ათასი მან., ადერბეიჯანს—75 ათასი მან., ნახიჩევანს-25 ათასი მან., აფხაზეთს—20 ათასი მან., აჭარას—30 ათასი მან., და სომხეთს—50 ათასი მან.

სოფლის მეურნეთათვის

გადადებული სპეციალური თანხა ა.-კ. კომისართა საბჭომ გაანაწილა შემდეგი სახით: საქართველოს—161,250 მან., ადერბეიჯანს—146.250 მან., სომხეთს—67.500 მან.

მებამბეობისათვის

ამ.-კავ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ბამბის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით ამ.-კავკასიაში წელს უნდა დაითესოს ბამბა 106.200 დესეტინა მიწაზე, აქედან საქართველოში—5.700 დესეტინაზე.

ზომა-წონის პალატა

ამ.-კავ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა დაარსოს ამ.-კავკასიის ზომა წონის პალატა, რომელიც დაექვემდებარება ამ.-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოში

საქ. უმ. ეკ. საბჭოს ახალი შემადგენლობა.

კომისართა საბჭომ დაამტკიცა შემდეგი სახით: თავმჯდომარე—ამხ. **შ. ელიავა**, მოადგილეებათ ამხ. **ა. გეგეჭკორი და ს. ჟუღელი**; წევრებად ამხ. **ჟოჟიკაშვილი, ა. გაშაძე, ა. მიქაძე, გ. ყურულაშვილი, ა. რუხაძე, თ. ღლონტი და ლ. გამყრელიძე.**

საკურორტო სამმართველოს შესახებ.

შ. | გ. ინსპექციის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი დაამტკიცა სახ. კომისართა საბჭომ და საბოლოო დასტურისათვის გადასცა საქ. ცაკს.

სანადირო იარაღების შესახებ.

კომისართა საბჭომ აგრეთვე დაამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სანადირო იარაღების აღრიცხვისა, შენახვისა და შეძენის წესის შესახებ.

საექსპერტო კომისიები.

სახ. კომ. საბჭომ მიიღო ცენტრ. სტატ. სამმართ. მიერ წარმოდგენილი და პროექტი, სარესპუბლიკო, სამაზრო სათემო საექსპერტო კომისიების მოწყობის შესახებ სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გამოსარკვევად.

მილიციის შემადგენლობის.

მოსამზადებლად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გახსნას შინაგან საქ. სახ. კომისარიატთან სამთვიანი კურსები.

ბრძოლა საქონლის ჭირთან.

საქართველოში გავრცელებულ საქონლის ჭირთან ბრძოლის წინააღმდეგ ზომების მისაღებად, სახკომსაბჭომ გამოყო კომისია ამხ. ამხ. ა. დოლიძის, შ. მათიკაშვილის, თედო ღლონტის, კუშაიძის და ა. გაშაძის შემადგენლობით.

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის სახაზინო სახლები № 3.

(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ).

ზემოხსენებულ სახლებში სცხოვრობენ რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი, რომელთა რიცხვი 500-ს აღემატება. ამ სახლების ეზოს მდგომარეობა მეტად უნუგეშოა: სამრეცხველო და პურის საცხობი ფურნე დანგრეულია, „სარაიები“, რომლებიც მოთავსებულია შენობის სარდაფებში, არის პირღიად. მოსალოდნელია მდგმურების ბავშვების შიგ ჩავარდნა და დაღუპვა. ამგვარ უბედურებას აქ ადგილი ჰქონდა კიდეც, მდგმური წულაძის სტუმარი ბავში გადიჩრა შიგ და ძლივს გადაარჩინეს.

ამავე ეზოში არის ცეცხლის მქრობელთა დამხმარე ჰები; ამ ჰების თავსახურავები სრულიად გაფუჭებული და დაუკეტელია და ესენი წარმოადგენენ მცხოვრებლებისათვის საშიშროებას. იყო ასეთი შემთხვევა: 20 მარტს, ამავე სახლების მდგმურს ა. სიგუას ბავშვი შემდგარიყო ამ გაფუჭებულ ჰის სახურავზე, რომელსაც მოელოდა საფრთხე შიგ ჩავარდნის, მამამ რა ეს დაინახა, გაექანა ბავშვის მისაშველებლად. მივიდა კიდეც, ბავშვის აყვანა მოასწრო, მაგრამ თვით ხელში აყვანილ ბავშვიანად გადიჩრა შიგ და მუხლი დაუზიანდა.

„სარაიების და ჰების“ შეკეთება და მათი მოვლა თვით ამ სახლების ზედამხედველების ვალდებულებას შეადგენს, მაგრამ, საუბედუროდ, ის ამაზე თავს არ იცხელებს.

საჭიროა რკინის გზის ადმინისტრაციამ ამ სახლებს № 3-ს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და გამოასწოროს ზემოხსენებული ნაკლი, თორემ ხიფათი დიდია და მსხვერპლიც მოსალოდნელია.

მუშა **ხ—ლი.**

ბოლო უნდა მოეღოს.

(მილიციის საყურადღებოდ).

ლენინის ქ. № 29, ვერის ბაზარში (მეორე სართულში) მოთავსებულია ვიღაც ლელაშვილის სამიკიტნო, რომელსაც ფართე ბინა უკავია. მის გვერდით კი ერთ პატარა ოთახში ბინადრობს კოოპ. ამხ. „მდელოსი“-ს გამგეობა მთელი კანტორით და ბუხჰალტერია-კანცელარიით. ეს სამიკიტნო ხელს გვიშლის კოოპერატიულ მუშაობაში.

ინფ. „ღელისელი ბიჭი“.

ასეთი მოქცევა არ ვარგა

(„ზაკტპო“-ს გამგეობის საყურადღებოდ).

ანდრეევის და ბათომის ქ. კუთხეში მდებარე სახლში „ზაკტპო“-მ დიდი ხანია გახსნა ხორცის დუქანი, სადაც ხორცს ჰყიდის ვინმე **არტემი.** ამ დუქანში თუ აქამდის მიდიოდა მუშტარი ხორცის საყიდლად, ეხლა ამ ხორცის დუქანს სულ შემოეფანტება ეს ხალხი—ყველა იძულებული გახდება იყიდოს ხორცი კერძო ყასაბთან, რადგანაც ეს არტემა ამ ბოლო დროს მოსულ მუშტარს უწონის ნახევარზე მეტ ძვლებს და ხორცის მაგივრად ადამიანი ამზადებს სახლში ძვლების კერძს.

არტემას ასეთი ვაჭრობა „ზაკტპო“-ს არ გამოადგება.

ინფ. **ანაშვილი.**

გამოგზავნილი წერილებიდან

დროა ძველი ზნე-ჩვეულებები დავივიწყოთ.

(საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

თბ. დეპოს მანტიორი ალ. **რუხაძე** თავის კერძო საქმეების ასასრულებლად ხსნის მუშებს სამუშაოდან, რაც შრომის კანონთა მიხედვით დაუშვებელია. დროა შეიგნოს ბ. **რუხაძემ,** რომ ძველი დრო წავიდა.

მუშკორი კოჟ-უხი.

ეს საქმე უნდა მოაგვაროთ.

(რკ. გზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ფოთის დეპო ითვლება სამტრედიის საუბნის ზედამხედველობის ქვეშ და ამ უკანასკნელის ანგარიში შეუმოწმებლად არავითარი საქმის წარმოების უფლება არა აქვს, რაც იქაურ მუშა-მოსამსახურეებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. აქ ბევრ სხვა შეცდომებს აქვს ადგილი.

საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას და ყველა დეფექტები ძირიან-ფესვიანად იქნას აღმოფხვრილი.

ინფ. კ. თ—ძე.

ეს ასე არ უნდა იყოს.

(მეტყევეთა კავშ. საყურადღებოდ).

უვადო შვებულებაში დაბრუნებული წითელარმიელი უნდა ურიგოდ იყოს გაგზავნილი სამუშაოზე, მაგრამ ამას ჩვენი კავშირი ყურადღებას არ აქცევს და მთელი წელიწადი მე უსაქმოდ დავდივარ. ეს კი ასე არ უნდა იყოს.

უვ. შვებ. დაბრ. წითელარმიელი.

ქრონიკა

— **ცხენების შემოწმება.** ა | წ 8 მაისს დილის 8 საათზე ვეტერინალურ სანიტარულ ქ. | განყოფილების მიერ დანიშნულია ტფილისის ყველა ცხენების შემოწმება ქოთალზე. შესამოწმებელი პუნქტები: 13, 1 და 2 კომისარიატისათვის საბურთალო (ყოფილ კომისარიატის შენობასთან) 3, 4, 5 და 6 კომისარიატებისათვის საზამთრო მოედანი; 7 და 8 კომისარიატისათვის დესიმონოვის მოედანი; 9, 10, 11 და 12 კომისარიატებისათვის დიდუბის მოედანი.

— **სახალხო პოპულიარული ლიტერატურა.** სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიამ დაადგინა გამოსცეს სახალხო პოპულიარული ლიტერატურა, დაახლოებით 100 წიგნი.

— **საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ** დაადგინა ლანჩხუთის სარაიონო ევოს ჩამოეწეროს დამზღვევი სალაროსადმი დავალიანება 3,300 მან., სახელმწიფო თანხიდან აღნიშნულ ევოს, როგორც დაზარალებულს, მიეცეს 7 ათასი მან. და გრძელვადიანი სესხი 10 ათასი მან.

— **საქართველოს ტყეებიდან** მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში საქართველოს სატყეოებიდან გაიცა 21,795 საჟენი შეშა.

— **მოჯამაგირეთათვის.** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით სპეცტანისამოსი უნდა მიეცეს სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მოჯამაგირეებს.

— **მეაბრეშუმეობისათვის.** მეაბრეშუმეთა საზოგადოება „აბრეშუმს“ გადაწყვეტილი აქვს საზღვარგარეთიდან გამოიწეროს აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი 250 ჯარა.

— **საქ. მინდვრების მორწყვა-ამოშრობად.** ამ.-კავ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასული წლის აპრილიდან ამა წლის აპრილამდე გასცა სესხად 65 ათასი მანეთი.

— **პირველ საბჭოთა არხების** და ქუთაისის არხის (მაშველის) შესაკეთებლად ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 20 ათასი მან.

— **საკურორტო კომისიაში** მთხოვნელთა განცხადებების მიღება იწარმოებს საღამოობითაც 4 ს. 8 საათამდე.

— **ახალ დაბადებულთათვის.** დამზღვევე კასამ გასული წლის ოქტომბრიდან ამა წლის აპრილამდე დახმარება აღმოუჩინა 1981 ახალდაბადებულს.

— **კულტურულ-განათლების მიზნით** ფ. ტელეგრაფის სახ. კომისარიატის დადგენილებით განთავისუფლებულ იქნა საბონემენტო გადასახადებისაგან ის მუშა-მოსამსახურენი, მუშათა კლუბები და წრეები, რომლებსაც აქვთ მიმღები რადიოტელეფონები.

— **სახელმძღვანელოები.** სახელგამი შეუდგა შრომის სკოლებისა და ტეხნიკუმებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვას.

— **საექიმო-საკანტროლო კომისიის** შესანახად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამზღვევე კასამ გაიღო 3563 მან.

— **რადიო-გამოფენა.** 17 მაისს მოსკოვში გაიხსნება საკავშირო რადიო-გამოფენა, რომელზედაც საქართველოდან გაგზავნილი იქნება რადიო-სადგურების სურათები.

— **პსიქო-ნერვიული ინსტიტუტის** შტატი გადიდებულ იქნა 35 კაცით მუშაობის გაფართოების მიზნით.

— **ლატარიის გათამაშება.** ამ დღეებში საქ. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება შეუდგება ვერცხლის ლატარიის ბილეთების გაყიდვას. გათამაშებული იქნება 100 ათასი მანეთის ვერცხლი. ლატარიის გათამაშება მოხდება 14 ივლისს.

— **მენდელეევის სახელობის მუდმივი კომიტეტის განყოფილება თბილისში.** დამსახურებული პროფესორის პ. გ. მელიქიშვილის ინიციატივით თბილისში არსდება მენდელეევის სახელობის მუდმივ კომიტეტის განყოფილება. განყოფილების მიზანია წმინდა და გამოყენებითი ქიმიის საზოგადოების წევრთა კრებების მოწვევა პერიოდულათ, რომლებზედაც წაკითხულ იქნება სათანადო მოხსენებები, და აგრეთვე ხელის შეწყობა იმ ყრილობისათვის, რომელიც მოწვეული იქნება მოსკოვში მიმდინარე წლის ენკენისთვის 17—23 რიცხვებში.

— **ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა** დაავალა სახალხო კავშირის განყოფილებების უფროსებს, მოხსენებები წარუდგინონ ადგილობრივ აღმასკომებს სახალხო კავშირის მდგომარეობის შესახებ.

— **ოქროს ფულის შესყიდვა.** ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატსა და ფინსახკომის შორის შეთანხმების თანახმად ყველა საფოსტო განყოფილებებში ამ დღეებში დაიწყება მეფის დროინდელ ოქროს ფულის შესყიდვა.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 7 მაისს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება ქართველ ექიმთა საზოგადოების მორიგი კრება.

— **ჯანსახკომის** ყველა საავადმყოფოებში იანვრიდან აპრილამდე 2.950 ავადმყოფიდან განიკურნა 2.832 ავადმყოფი, გარდაიცვალა—77.

— **მცხეთის თბილისთან შემოერთების გამო** მცხეთის სატყეოები შემოერთებული იქნა თბილისის მაზრის სატყეოებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

წითელი თეატრი

„ბასტილიის აღება"

პროლეტკულტის ქართული სექციის დრამატიული სტუდია, როგორც სჩანს, საბოლოოთ გასცილდა სტუდიური მუშაობის ჩარჩოებს.

სტუდიელების პროფესიონალ-მსახიობებათ გადაქცევა, როდესაც მათ ჯერ კიდევ არ მიუღიათ სათანადო წინასწარი მომზადება და გაწვრთნა, სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ისინი მეტად დატვირთული არიან მუშაობით (კვირაში რამოდენიმე წარმოდგენა მიდის) და უკვე ეხლავე ემჩნევათ დაღლილობა. ეს კი გავლენას ახდენს პიესების მსვლელობაზე.

ამით უნდა აიხსნათ ის გარემოება, რომ პროლეტკულტის არც ერთ დადგმაში არ ყოფილა მიღწეული მონუმენტალობა, შინაგანი დაჯერების და განცდის მხატვრულ სიმაღლემდი აყვანა. წითელი თეატრის არტისტიული ძალებით კი ამის მიღწევა შეიძლებოდა.

უკანასკნელი პრემიერა—„ბასტილიის აღება"—ვერ ასცდა ამ დეფექტებს. მაგრამ, თუ შედარებითი საზომით შევაფასებთ 2 მაისის წარმოდგენას, უნდა ითქვას, რომ დადგმა გამართლებულია.

თვით პიესა მეტათ სუსტია, ვიტყვით—საჭიროც არ იყო მისი არქივიდან გამოტანა, მაგრამ რევოლიუციონური რეპერტუარის სიღარიბის პირობებში მასაც, ალბათ, ერთგვარი სამსახურის გაწევა შეუძლია.

„ბასტილიის აღება" რეჟისორ ვახტანგ ვარრიკის მეორე ნამუშევარია. ორი პიესის დადგმით ამ ახალგაზრდა თეატრალურმა მუშაკმა უეჭველათ დაიმსახურა დაკვირვებული რეჟისორის სახელი. რეჟისორის მზრუნველი ხელი სჩანს როგორც მსახიობების მომზადებაში, ისე პიესის ტეხნიკურათ გამართვაშიც.

პიესა დადგმულია პირობითი რეალიზმის ხაზებში. ცოცხლათ და ხალისიანათ მიდის მასიური სცენები, მხოლოდ ალაგ-ალაგ მასას აკლია დინამიურობა. განათება ვერ არის გამოყენებული შესაძლებლობის ფარგლებში.

განსახიერების მხრივ პიესა მკრთალად მიდის. სჩანს პიესის დეტალურათ დამუშავება, მაგრამ სტუდიელებს ვერ მოუსწრიათ მისი სათანადოთ შეთვისება.

პიესის მთავარი პერსონაჟების შემსრულებელთაგან აღსანიშნავი არიან: მელიავა გოშ, გაგუა—ვენტიმილ, ყიასაშვილი—დელონეი და ჩარალოვი—გონშონი; ამ უკანასკნელის შესახებ უნდა ითქვას, რომ ბეჯითი მუშაობის შემდეგ მას შეუძლია საკმაოთ ძლიერ არტისტიულ ძალათ გახდეს დამახასიათებელ როლებში.

მეტათ სუსტია რობესპიერი—შათათავა. მარატი-ლოლუა თავისი გარეგნობით და თამაშით უფრო შექსპირის ჰამლეტს ჰგავს, ვიდრე თავგანწირულ რევოლიუციონერს, მაგრამ ამაში დამნაშავე თვითონ ავტორი, რომელსაც რობესპიერისთვის და მარატისთვის ყოველგვარი ნიადაგი გამოუცლია პიესაში.

Z.

დღეს კინოებში

— აპოლო—„პაპიროსების გამყიდველი ქალი მოსელპრომიდან".

— არფასტო—„მესსალინა".

— სოლეი—„მესსალინა".

— მინიონ—„რაფკეს ასული".

— ოაზის—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი".

— აისი—„ახალი პროგრამმა".

ცირკი

ძმ. ტანტის იუბილე

სამშაბათს, 5 მაისს, ცირკის ცნობილმა მსახიობებმა—მუსიკალურმა კლოუნ-სატირიკოსებმა ძმ. ტანტიმ გადაიხადეს თავისი შეერთებული არტისტიული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე.

იუბილიარები გამოვიდნენ თავისი ჟანრას ახალ რეპერტუარით, ისინი საზოგადოებას სხვადასხვა ნომრებში წარუდგენ, როგორც მუსიკალური ექსცენტრიკები, კუპლეტისტები, სატირიკოსები და მოჟონგლეებიც კი (ლეო ტანტი).

შესრულებულ ნომრებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო მუსიკალური კუპლეტები სადღეისო თემებზე, რომლებშიაც სჩანდა იუბილიარების საკმაო ძლიერი იუმორისტული ნიჭი და მძაფრი სატირა ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ არანორმალურ მოვლენებზე. საინტერესოა აგრეთვე ფუშისტური ორკესტრიც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცირკის რეპერტუარის განახლებაში და მისი თანამედროვე ცხოვრებასთან დაკავშირებაში ტანტებს დიდი ღვაწლი მიუძღვით და ამაშია სწორეთ მათი სიძლიერე.

იუბილეს დღეს მათ თითქოს თავი მოეყარათ ყველა თავისი ძალებისათვის და მათ მოსწრებულ კუპლეტებს დაუსრულებელი სიცილი და ხალისი შეჰქონდა დამსწრე საზოგადოებაში.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ გაიმართა საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა ხელოვნების მთავარ საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ზედევანიშვილმა, რომელიც იუბილიარებს მიესალმა ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოების და განათლების სახალხო კომისარიატის სახელით. მან იუბილიარებს აცნობა აგრეთვე, რომ განათლების კომისარიატის დადგენილებით, მათ მიენიჭათ დამსახურებული მსახიობების სახელწოდება.

შემდეგ იუბილიარებს მიესალმნენ: ალმასკომის სახელით—ამხ. ბუხნიკაშვილი, საიუბილეო კომისიის სახელით—ამხ. პოკროვსკი, რომელმაც მათ გადასცა დამსახურებული მსახიობების ჟეტონები, ხელოვნების მუშაკთა კავშირის სახელით—სანდრო ქურიძე, ქართული აკადემიური დრამიდან—აკაკი ვასაძე, სახელმწიფო ოპერიდან—ს. ევლახიშვილი, აკადემიური თეატრების მუშების წარმომადგენელი, კინო-მუშაკთა უჯრედის სახელით—დოლიძე, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტიკური სეკრეტარიატის წარმომადგენელი—გრინენბერგი, სომხური და თათრული აკადემიური თეატრების წარმომადგენლები, წითელი თეატრის წარმომადგენელი, ახალი თეატრიდან—რეჟისორი სტროევი, ცირკის ტეხნიკური პერსონალის, მსახიობების და ჩემპიონატის წარმომადგენლები და სხვები. შემდეგ წაკითხული იქნა მისალოცი დეპეშები, სხვათა შორის ამხ. ლუნაჩარსკისაგან.

საბოლოო სიტყვაში ლეო ტანტიმ მადლობა გადაუხადა საიუბილეო კომისიას, მთავრობას და თბილისის საზოგადოებას, რომლებმაც პატივი სცეს იუბილიარებს და მხურვალეთ გამოეხმაურნენ მათ არტისტიულ დღესასწაულს. მან სიტყვა მისცა დამსწრე საზოგადოებას, რომ იუბილიარები არ გადაუხვევენ მათ მიერ აღებულ გზიდან და შეეცდებიან მომავალშიაც შეძლებისდაგვარად სამსახური გაუწიონ მშრომელ მასას.

იუბილიარებმა მიიღეს მრავალი საჩუქრები, მათ შორის ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობისაგან—750 მან. და ქალაქის ალმასკომისაგან—500 მანეთი.

Z.

შემთხვევები

— თვითმკვლელობა. 5 მაისს დილით, საგარაკო ქუჩაზე (უნომრო სახლი) რომანტიულ ნიადაგზე თავი მოიკლა ივანე ინჩაგოვმა.

— **გოჭის ხორცით მოწამვლა.** 5 მაისს, ჩერქეზიშვილის ქ. № 51 სოფლიდან ჩამოტანილ გოჭის ხორცით მოიწამლნენ მოქ. ბაბილინა ქადაგიძე და ოლღა ნაროდკო ორი შვილით. ყველანი მოთავსებული იქნენ საავადმყოფოში.

— შეპყრობა. 4 მაისს შეიპყრეს ვინმე მაკაროვი, რომელმაც ზარგარიანცის ქარხნიდან მოიპარა 295 მანეთის თხის ტყავები.

— ქურდი ქალი. 5 მაისს შეიპყრეს ეჟენი გალინსკაია, რომელმაც პლეხანოვის ქ. № 181 სონია გაბრუაშვილს მოჰპარა კაბა.

— ქურდობა. 4 მაისს ლენინგრადის ქ. № 7, მოქ. კერერს მოპარეს 60 მანეთის ნივთები.

— ამავე დღეს განოვის ქ. № 11 ნადეჟდა ბებუთოვის ბინიდან მოიპარეს 100 მან. ნივთები.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

ბათომი—თბილისის სახელ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი

მეორე მატჩი ბათომელებთან დიდ ინტერესს წარმოადგენდა სპორტის ამ დარგის მოყვარულთათვის. ბათომის ნაკრებ გუნდს აქ გაცილებით უფრო სერიოზულ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე და ამიტომ ორივე მხარე უფრო დაკვირვებით და გაბედულათ თამაშობდა.

შეჯიბრებამ თავიდანვე გაცხოველებული ხასიათი მიიღო. ბრძოლა დაიწყო ცვალებადი წარმატებით, ბურთი ერთი მხარიდან მეორეზე გადადიოდა და მოწინააღმდეგეები არ ზოგავდენ ძალებს, რომ უკან არ ჩამორჩენოდენ ერთმანეთს.

მაგრამ პირველი ტაიმის მე-15 წუთზე ბრძოლის ინიციატივა საბოლოოთ ხელთ იგდეს ბათომელებმა და შეტევაზეც, უმთავრესად. ისინი გადადიოდენ. აქ აღსანიშნავია მათი მწყობრი და სწრაფი თამაში. ისინი ყოველთვის ჩქარის ტემპით იწყებენ თამაშს და ასევე მიჰყავთ ის ბოლომდი.

მეჩვიდმეტე წუთზე ბათომელმა ფაჩულიამ ბურთის მოწინააღმდეგის ფეხებში მოხერხებულათ გატარებით პირველი გოლი შეიტანა პოლიტეხნიკუმის გუნდის ჰიშკარში.

პირველ დამარცხებას გავლენა არ მოუხდენია პოლიტეხნიკუმის ფეხბურთელების სიმტკიცეზე. ისინი მედგრათ განაგრძობდენ თავდაცვას და ხშირათ გაცხარებული იერიშებიც მიჰქონდათ მოწინააღმდეგეზე, მაგრამ მათ მიერ წაღებული ბურთი საჯარიმო მოედანს აღარ გასცილებია.

თამაშის მეორე განყოფილებაში ბათომელებს ხელიდან აღარ გაუშვიათ თამაშის ინიციატივა; მათ იერიში იერიშზე მიჰქონდათ და სცდილობდენ მოპირდაპირის რკალის გარღვევას, მაგრამ პოლიტეხნიკუმის ფეხბურთელთა გუნდის დამცველთა შემადგენლობის სიმტკიცემ და კონტრიერიშებმა არა ერთხელ აბრუნებინეს პირი გათამამებულ ბათომელებს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პოლიტეხნიკუმის ფეხბურთელები კარგა იცავდენ თავს. მათ ჰიშკართან რამოდენიმეჯერ იყო სახიფათო მომენტები, მაგრამ ისინი ახერხებდენ განსაცდელიდან თავის დაღწევას.

მეორე განყოფილების მიწურულში ბათომელებმა ერთხელ კიდევ გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი და მეორე ბურთი შეიტანეს მის ჰიშკარში.

შეჯიბრება გათავდა 2:0 ბათომის სასარგებლოთ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბათომის გუნდის ჩამოსვლამ ერთგვარი სიხალისე შეიტანა ფეხბურთის მიმდინარე სეზონში. სასურველია საქალაქთაშორისო შეჯიბრებების უფრო ხშირათ მოწყობა.

Z.

პროვინციაში

ცოტა რამ კახეთის მეაბრეშუმეობაზე

კახეთის ზომიერი ბუნება ისე უწყობს ხელს აბრეშუმის პარკის მოყვანას, რომ მას შეუძლიან თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს გლეხი-კაცის ბიუჯეტის აქტივში. მაგრამ სამწუხაროდ ამ მნიშვნელოვან დარგს შესაფერისი ყურადღება არ ექცევა.

მე არას ვამბობ თუთის ხეების გაშენებაზე, სანერგის მოწყობაზე, ვინაიდან ეს მომავლის საკითხია, რასაც ამ თავითვე უნდა მივაქციოთ ყურადღება თუ გვინდა, რომ მეაბრეშუმეობა შესაფერ სიმაღლეზე დავაყენოთ. მხოლოდ ამ ჟამად თესლის დარიგება და პარკის განაღდება ვერ არის რიგზე მოწყობილი.

ჯერ ერთი, კახეთში ჭიის თესლი მეტად გვიან გამოიგზავნა თბილისიდან, ისე გვიან, რომ ჭია უკვე გამოდის და ყუთებშივე იხოცება. მეორე, ტეხნიკური მხარე მოუწყობელია. მაგ. ერთ-ერთ სოფლის ეპოს (ს. ახმეტისას) უარი ეთქვა თესლის დარიგებაზე და ეპოს მაგიერ აფთიაქში რიგდება თურმე.

მეორე სოფლის მოსახლეობა წელს, როგორც გადმომცეს, ძლიერ ნაკლებად ეტანება იმ მიზეზით, რომ შარშანდელ პარკში ჯერაც სავსებით არ მიუღიათ მისი ღირებულება და ახალი რომ ავიღოთ, ვაი თუ ისევ ვერაფერი მივიღოთო. ემდურებიან ცეკავშირს თელავის განყოფილების სახით.

ამ შემთხვევაში საჭირო იყო გლეხთა მოსახლეობისთვის ახსნა-განმარტების მიცემა, რომ წელს აბრეშუმის პარკს ისე მოიხმარებენ, როგორც თვითონვე ჰსურთ და თუ შეისყიდებენ, მაშინვე მთელ ღირებულებას მიიღებენ, მაგრამ ამისთვის აღარც იმდენი დრო დარჩა, ვინაიდან ცხელი დღეები დაიჭირა და თითქმის გამოსული ჭია რიგდება.

ამნაირად, როგორც ეტყობა წელს ბევრათ ნაკლები თესლი დარიგდება, რასაც ნაკლები მოსავალიც მოჰყვება.

ეს კი ისეთი დარგია, რომ შეეძლო ჩვენ გლეხ-კაცს ცოტაოდნათ მაინც ესარგებლა, რომ წესიერად ყოფილიყო მოწყობილი მისი საქმე.

ვან—ლი.

საგარაკო სეზონისათვის

სურამი

ახლოვდება ზაფხული და სურამსაც მოაწყდება აუარებელი ხალხი საგარაკოდ. ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს სურამს ზაფხულობით, რომ არ გავრცელდეს სხვა და სხვა ეპიდემიური ავადმყოფობანი და დაცული იქნას სასტიკი სანიტარული წესები. მართალია, წელს, მაზრალმასკომის დადგენილებით დაცული უნდა იქნას მთელ მაზრაში სასტიკი სანიტარული წესები და სურამის ალმასკომის მიერ არის უკვე გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯები, მაგრამ მე მინდა ალმასკომის ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ გარემოებას: სურამში უმეტეს შემთხვევაში ჭის წყლებია სახმარებლად. ჭების მეტი წილი კი ღია ადგილებზეა ამოშენებული. ჭების სისუფთავის დაცვაზე არავინ ზრუნავს და ჭები სულ სავსეა ათასგვარი სიბინძურით. საჭიროა სურამის ალმასკომმა სავალდებულოდ გახადოს ჭების დახურვა წყლის სისუფთავის დასაცავად.

[illegible]

პროვინციის ქრონიკა

— **სამეურნეო სასწავლებელი.** გორის ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქ. კომისარიატის წინაშე გორის მაზრაში სას.-სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

— **წყაროს გამოყვანა.** ახალციხის მაზრაში, სოფ. ადიგენში გლეხებმა გამოიყვანეს ორი წყარო.

— **საფეიქრო სახელოსნო.** სოფ. ზანავში (ახალც. მაზ.) ადგილობრივმა გლეხკომმა მოაწყო საქსოვი სახელოსნო 10 დაზგით.

— **მეფუტკრეობის კურსები.** გორის ალმასკომმა გადასწყვიტა გორში გახსნას მეფუტკრეობის უფასო კურსები გლეხებისათვის.

— **სათესლეს შესაძენად.** სიღნაღის ალმასკომმა გაუნაწილა საკრედიტო ამხანაგობებს მთავრობის მიერ გადადებული 25 ათასი მან., გლეხებისათვის სათესლე სესხის მისაცემად.

სოფ. ქოლობნის (სენაკ. მაზ.) თემ. გლეხკომმა გადასწყვიტა მოაწყოს კირის საწვავი და აგურის ქარხნები.

— აგურის და კირის ქარხნები.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ არა რამე წილი გარდაცვალებულის მეუღლის ქონებიდან

კითხვა

აგერ ცხრა წელიწადია, რაც ჩემი ქმარი დაიღუპა ბრძოლის ველზე და მე ქვრივი, რომელსაც მყავს ერთი ვაჟი 10 წლის, დავრჩი უნუგეშოდ, უბინაოდ და უმიწაწყლოდ. ჩემმა მაზლმა საერთო სახით თავისი თავშესაფარი ბინა გაყიდა და ჩემი ქმრის ხვედრი საცხოვრებელი ბინა თვითონ მიისაკუთრა. ყოველივე ჩემი ქმრის ქონება გაფლანგა. მე კი ვცხოვრობ დროებით მამაჩემთან, მაგრამ მამაჩემს, როგორც მოხუცებულს და ღარიბ გლეხს, არ ძალუძს ჩემი მოვლა-პატრონობა.

ამისათვის გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება, მეკუთვნის თუ არა ჩემი ქმრის ქონებიდან რამე ნაწილი და შემიძლია თუ არა ჩემს მაზლს მოვსთხოვო გაფლანგული ქონების ანაზღაურება, თუ ასეთი მეკუთვნის, რა სახით უნდა მომცეს იგი.

სოფ. იდლეში (შორ. მაზ.) მცხოვ. ქვრივი ნადეჟდა ბოჟაძისა.

პასუხი

თანახმად დეკრეტი 28-ს, 101, 102, 130—141 პარაგრაფით თქვენ გაქვთ სრული უფლება მოსთხოვოთ მაზლს თქვენი გარდაცვალებული მეუღლისაგან დაშთენილი ქონებიდან სარჩო-საბადებელი თქვენ და თქვენი შვილისათვის, ან და მოითხოვოთ აღნიშნული ქონების თქვენ გამგებლობაში გარდაცემა; თუ აღნიშნული ქონება გაფლანგულია, გაქვთ უფლება 1) მოითხოვოთ მისი აღდგენა; 2) თუ ქონების აღდგენა შეუძლებელია, თქვენთვის მიყენებული ზარალის მაზლის საკუთარი ქონებიდან ანაზღაურება სახალხო სასამართლოს წესით.

აქვს თუ არა მამულის იჯარით გაცემის უფლება?

კითხვა

ვცხოვრობ სოფელში; 65 წ. კაცი ვარ. მეურნეობით ბავშვობიდან მოხუცებულობამდე მიწის მუშაობას ვეწევი. მყავს ცოლ-შვილი. შვილების ერთი-მეორის და ჩემი მათთან დამოკიდებულების გადასაწყვეტად ჩვენ შინაური შეთანხმებით ჩვენს სარგებლობაში მყოფი უძრავ-მოძრავი ქონება გავიყავით. ოჯახის წევრებმა მივიჩინეთ ცალ-ცალკე სასარგებლოდ ჩვენი წილი: ჩემი და ჩემი მეუღლის სარგებლობაშია ერთ ნაჭრად სამი ქცევა ვენახი თავის საცხოვრებელ ეზოთი და სახლით. ეხლა, როგორც მოხუცებულებს, შრომის უნარდაკარგულებს მომვლელი გვჭირდება. გვსურს (ორთავე ცოლ-ქმარს) საცხოვრებლად გადავიდეთ ქალაქში მცხოვრებ ერთ-ერთ ჩვენ ვაჟთან. ამიტომ გვინდა შენობა მივყიდოთ ერთ-ერთ აქაურ მიწის მუშას, რომელსაც გვსურს გადავცეთ იჯარით სახლთან არსებული, ჩვენ სარგებლობაში მყოფი, ეზო და ვენახი (სამ ქცევამდე).

გთხოვთ გვიპასუხოთ არის თუ არა კანონიერი ჩვენი ასეთი განზრახვა.

გლეხი **გლახუა ასლანიშვილი**

პასუხი

მიწის შრომითი იჯარის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ იმ მეურნეობას (კომლს), რომელიც დროებით დაუძლურებულია სტიქიური უბედურებისა (ავ. მოუსავლობა, ხანძარი, საქონლის გაწყვეტა და სხ.) ან ინვენტარის და მუშა-ძალის ნაკლებობის გამო ან იმის გამო, რომ ეს მუშა-ძალა შემცირდა სიკვდილისა და სხვა რაიმე საპატიო მიზეზების გამო და ვინც ფაქტიურად არ სწყვეტს კავშირს თავის მეურნეობასთან; ის მეურნე კი და მისი ოჯახის წევრები, ვინც აპირობს სხვაგან გადასახლებას, ვალდებულია დღიდან ახალ ადგილზე დაფუძნებისა სამი წლის განმავლობაში მოახდინოს ძველ ბინადრობაზე თავისი ქონების სრული ლიკვიდაცია. (შენობების, ნაშენისა და მიწაში შეტანილი გაუმჯობესებისა). მიწა უნდა გადაეცეს ადგილობრივ საადგილმამ. განყოფილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სამაზრო საადგილმამულო განყოფილების განკარგულებით მას (გადასახლებულ მეურნეს) ჩამოერთმევა ქონება და გადაეცემა ადგილობრივ სასოფლო საბჭოს განკარგულებაში (იხ. მიწის კოდექსი მუხ. 26 და 170).

პირადათ თქვენ აპირობთ ქალაქში გადასახლებას და სწყვეტთ ფაქტიურ კავშირს თქვენ მეურნეობასთან, ამიტომ თქვენ არა გაქვთ მამულის იჯარით გაცემის უფლება. თქვენ გაქვთ უფლება მხოლოდ იმისა, რომ გაყიდოთ ყველაფერი გარდა მიწისა და სრული ლიკვიდაცია უყოთ თქვენს ქონებას თქვენი სურვილისამებრ. მიწა კი უნდა ჩააბაროთ ადგილობრივ საადგილ-მამულო განყოფილებას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 14

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სასროლი მასალისა და სანადირო სასროლი იარაღის შეძენისა, რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ოქტომბრის 27 თარიღითა და 113 №-ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის პ. „ა" და 8 ა და 8 ბ მუხლების გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სანადირო სასროლი მასალის, როგორიც არის თოფის წამალი, ფალია-ფისტონი და მასრა,—შეძენისა და ვაჭრობის უფლება მიეცეს მარტოოდენ საქართველოს მონადირეთა კავშირს.

ყველა კერძო მაღაზიამ და პირმა, რომელიც ვაჭრობს სანადირო სასროლ მასალას, უნდა გადასცეს ზემოაღნიშნული მასალა ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა საქართველოს მონადირეთა კავშირს ნომინალურ ფასად ანგარიშის ნაღდად გასწორების საფუძველზე.

2. მთელი სანადირო სასროლი იარაღი განიყოფება ორ კატეგორიად:

I კატეგორია: ა) დალარული სანადირო სასროლი იარაღი, როგორიც არის შაშხანა და დალარული კარაბინი ისეთი, როგორიც შემოღებულია სოც. საბჭ. რესპ. კავშირის და უცხო ქვეყნების არმიების შეიარაღებისათვის, აგრეთვე სამხედრო ტიპისა (ბერდანისა, მაუზერისა და მანლიხერისა და სხვ.), რაც იხმარება მსხვილ ნადირზე ნადირობისათვის.

ბ) შაშხანა თოფი და დალარული კარაბინი, მათ შორის ავტომატიურიც სრიალა საკეტით, რომელიც ჩამოუშვება და არ აიწევს—იარაღი, რომელსაც ჯარში არ ხმარობენ და რომელიც ამა კატეგორიის პუნქტ „ა"-ში არ არის აღნიშნული.

გ) უღარო და დალარული რევოლვერი და დამბაჩა, მათ შორის ავტომატიურიც, რომელსაც არა ხმარობენ სოც. საბჭ. რესპ. კავშირის და [illegible] ქვეყნების არმიის შეიარაღებლად.

[illegible] ფი, მათ შორის ავტომატიურიც.

ბ) დალარული თოფები: ფისტონიანი, კაჟიანი ან პატრუქიანი.

გ) დალარული თოფი გადასახსნელი ლულით (შტუცერული ტიპისა).

დ) დალარული თოფი სრიალა საკეტით (ეშვება იგი თუ აიწევს).

ე) ერთ ან მრავალლულიანი თოფი საფანტით ან ტყვიით სასროლი.

3. იმ პირებმა, რომელთაც აქვთ 1 კატეგორიაში ჩამოთვლილი იარაღი, უნდა გაატარონ იგი რეგისტრაციაში ორი კვირის განმავლობაში საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებში მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, და ამავე ორგანოებიდან უნდა მიიღონ ხსენებული იარაღის შენახვისა და ხმარების ნებართვა.

4. მე-2 კატეგორიაში ჩამოთვლილი იარაღის რეგისტრაცია უნდა იქნეს ამავე ვადაზე მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოში, რომელიც მისცემს ხსენებული იარაღის შენახვისა და ხმარების ნებართვას.

5. ამა დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლებში აღნიშნული ნებართვის მისაღებად საჭიროა ნადირობის უფლების მოწმობის წარდგენა.

6. ყველა იმ მაღაზიამ, რომელიც ეწევა სანადირო თოფების ვაჭრობასა გაყიდვასთანავე უნდა გაატაროს ყოველი გაყიდული თოფი სპეციალურ ზონარგაყრილ დავთარში, რაშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს რა დოკუმენტების ძალით და ვის მიჰყიდა იარაღი.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიეცემა პასუხისგებაში სისხლ. სამ. კოდექსის 226 მუხლისამებრ.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ალ. სალარიძე.

1925 წ. აპრილის 28.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს იმ პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც მუშაობენ „მოსტრიკოტაჟში", სამუსიკო ტრესტში და მარილის ტრესტში მოიხსნან აღრიცხვიდან და გამოცხადდნენ რაიკომის აღმრიცხ.-განაწ. ქვე-განყოფილებაში 41-ე უჯრედთან მისამაგრებლათ.

— თ. კ. აღმრიცხ.-განაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს: ორი დღის განმავლობაში ამხ. სააკოვთან გამოცხადდეს ამხ. ვოლოვიჩი (სამუს. ტრესტიდან).

სამი დღის განმავლობაში ამხ. ბათიაშვილთან უნდა გამოცხადდნენ ნესტეროვა მარია, ასლამაზოვ კარაპეტ, გორდაძე დავით, ბაჩნიკოვ ვასილი.

ამხ. კარედისთან უნდა გამოცხადდნენ ამავე ვადაში: არშიძე ბენიამინ, ვალიევ მამედ, კუზმინ ანდრია, აბუალაძე ვარლამ, პურაშკოვ პროკოფი, შვეცოვ პავლე, ალექსანდროვ ძლ., მაკაროვ არუთინ, ვოლკოვ რომან, კოდუა ილარიონ, სადლოვსკი გერმან, ივანოვა ცენა ჯიქაევ მიხეილ, გოლუბიევ ვასილ, არაჩკოვ ივან, სტეფანოვ დიმიტრი, ცხურბაევ პავლე, მაისეევ მიხეილ, გოდევ ჩიკო, პეტრენკო პაველ, ჯიოევ ვლადიმერ.

— დღეს, ცენტ. პარტკლუბში შესდგება პროლეტკულტის საღამო, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კლუბის გამგეობა.

— ხუთშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება ს. კ. პ. ცეკას საგიტ. საპროპ. განყ. აგიტ-კოლეგიის მორიგი სხდომა. სხდომაზე დასწრება აუცილებელია შემდეგი ამხანაგებისათვის:

1. რუხაძე, 2. ასრიბეკოვი, 3. სიხარულიძე, 4. გიორგაძე, 5. ქაქელია, 6. ჭელიძე, 7. ოვანესიანი, 8. მურავიოვი, 9. კამარაული, 10. ქებურია, 11. წიწივაძე.

— ს. კ. პ. ცეკას საორგ.-განაწ. განყოფილება სთხოვს ამხ. ალექსანდრე პავლეს ძე სუხიშვილს გამოცხადდეს ცეკას საორგ.-განაწ. განყოფილებაში.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნატალია, დები: პარასკევა, ივდითი, ქეთინო და მარიამი; სიძეები: ლაზარე სანოძე შვილებით ლიუბა და ქიქიკოთი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ სოფელ ეწერში 10 მაისს კვირას, 12 საათზედ გადახდილი იქნება მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

პავლე და დანიელ ტარასის ძე
კოპალეიშვილების

სამოქალაქო პანაშვიდი, პირველის ექვსი წლის და მეორესი ერთი წლის თავის აღსანიშნავად.

№ 1246—1—1

გულდაწყვეტილი მეგობრები: დ. აროშიძე, დ. [illegible], ა. რამიშვილი, ქ. დემეტრაძე, ა. გელოვანი, ა. ქეიშვილი, პ. ხობუა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ხაშურში გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი და დაუვიწყარი მებრძოლი ქართველ მეთაურთა სამხედრო სკოლის ლექტორი:

ივტიხი ვაშალომიძე

რომლის გამოსვენება მოხდა ქ. ხაშურიდან ქალაქ ოზურგეთში, 6 მაისს ა/წ.

№ 1238—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ, შვილები: თეოდორა, ივლიტა, ონისიმე, სალომე, კოლია, ქიქიკო და გუგუ; რძლები: ანეტა, ნადია და ლიდა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, სოფელ ონტოფოში 3 მაისს, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ერასტო ვაცას ძე უვანია

დასაფლავება სოფ. ონტოფოში, ხუთშაბათს, 7 მაისს, დღის 4 საათ.

2—1 № 1228.

10 მაისს მცირე თეატრი 10 მაისს
ტერენტი გრანელის
პოეზიის საღამო
1. სიტყვები.
2. პოეზია.
3. მუსიკა.
ნ. 1124 2—1

თელავის მთლიანი
მომხმარებელი საზოგადოება

ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოდ, რომ 26 აპრილს მიმდინარე წლისა დანიშნულია

წლიური კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება 1923 და 1924 წლის მოქმედებაზე.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. განხილვა და დამტკიცება 1923 წ. და 1924 წ. ანგარიშების.
4. მოგების განაწილება
5. მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვა
6. გამგეობის არჩევნები
7. სარევიზიო კომისიის არჩევა
8. საბჭოს რწმუნებულების არჩევა
9. მიმდინარე საკითხები.

2—2 932 გამგეობა.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის ავტო ტრანსპორტის სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოება

„ზაკავტოპრომტორგი"
(„ЗАКАВТОПРОМТОРГ")

დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ 1924 წ. 22 მაისს.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი ეირანოვი.
1—1 ნ. 1123

ა/წ. 8 მაისს დილის 8 საათზე
ალმასკომის ვეტერინალურ-სანიტარულ ქ/განყოფილების მიერ დანიშნულია თბილისის ყველა

ცხენების შემოწმება

ქოთაოზე, შესამოწმებელი პუნქტები: 13, 1 და 2 კომისარიატისათვის საბურთალო (ყოფ. კომისარიატის შენობასთან), 3, 4, 5 და 6 კომისარიატებისათვის საზამთრო მოედანი: 7 და 8 კომისარიატისათვის დესიმონოვის მოედანი, 9, 10, 11 და 12 კომისარიატებისათვის დიდუბის მოედანი. ვინც არ წარმოადგენს შესამოწმებლად ცხენებს თანახმად ალმასკომის სავალდებულო დადგენილებისა დაჯარიმებული იქნებიან 100 მანეთამდე.

ვეტ. სანიტ. სექციის გამგე ექ.-ვეტერინარი (ხელის მოწერა).
1—1 ნ. № 1125

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ
ს. ს. ს. რ.
სახელმწიფო გამომცემლობა
აცხადებს, რომ
ჭოლა ლომთათიძის
თხზულებანი გამოიცემა სახელგამის მიერ მამია ორახელაშვილის რედაქციით. I ტომი გამოვა ა/წ. მაისის, ხოლო მე-II—ივნისის დამლევს.
ხელისმოწერა მიიღება სახელგამის მაღაზიაში № 1 (რუსთაველის პრ. № 11) და სახელგამის აგენტ ს. თავართქილაძესთან წიგნის მაღაზია „განათლებაში" (ლენინის ქ. № 6).
ყველა ძველი და ახალი ხელისმომწერნი დაკმაყოფილებულ იქნებიან სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.
წიგნი (ორი ტომი) ხელისმომწერთათვის გადიდებული სურათით ღირს 4 მანეთად არა ხელისმომწერთათვის წიგნი უფრო ძვირად ეღირება.
ნ. 1199. 5—4 სახელგამი.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ჯედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—13

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად კოფ. მონ-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. საავადმყოფების მიღება დილის 8 თიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—17

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 8.
№ 202.
25—6

ვყიდულობ
სახლს (6-დან 10 ოთახამდის)
რუსთაველის პროსპექტის ზემო მხარეში. აგრეთვე ვერისკენ. გამყიდველთ შეუძლიათ მომმართონ: ელისაბედის ქ. № 63. დილ. 8—10 ს. და საღ. 3—5 ს. იკითხეთ: პავლიაშვილი.
№ 1172. 1—1

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიანი
თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)
25—23

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—22

ა. მ. მძინარაშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18
შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.
25—15

ექიმი
მ. ა. ლუკოვსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—7

ექიმი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746 25—18

ექიმი
დ. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.
ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
482 25—15.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 სათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 3203. 25—16

არ არის უკეთესი
კეფირი, ვიდრე
ო. კორონასი
ლორის მელიქოვის ქ. № 6.
ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს.
მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ. 1106 25—12

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 536—პისტი მიქაბერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1245 1—1

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 26-9 დავით იაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1240 1—1

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი ალექსანდრე თითაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1244 1—1

დავკარგე ქვითარის ასლი № 748, მიღებული გაზეთ კომუნისტის მთავარ კანტორაში საბინაო წიგნაკის დაკარგვის შესახებ. ნინა ძნელაძის სახელზე.
1241 1—1

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 257 ამბაკო ჯიბუტის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1243 1—1

დავკარგე მედსანშრომის წიგნაკი № 4003 ანტონინა ივანეს ასული ნიკოლაიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1242 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 542, მოცემული ოზურგეთის თემის ალმასკომისაგან კოწია ლუკას ძე ძიძიგურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1239 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა ვალერიან ვლასის ძე ხვადაგიანის სახელზე. № 2095. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1247 1—1

ტირაჟი—20.625

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4